

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ქეთევან ცინცაძე

გმნისწინი ძველ ქართულში

ქართველური ენათმეცნიერება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: მ. რიჟვაძე -ფილოლოგიის

აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ბიჭაური

2019

ანოტაცია

ქართული ზმნისწინის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მისი წარმოშობა და ფუნქცია - დანიშნულების კვლევა ერთ-ერთი საინტერესო და საყურადღებო საკითხია.

მიუხედავად იმისა, რომ, ამ კუთხით ბევრი რამაა გაკეთებული, გასარკვევი და დასაზუსტებელი კვლავ ბევრი რჩება.

ქეთევან ცინცაძის ნაშრომი „ ზმნისწინი ძველ ქართულში“ წარმოადგენს ზმნისწინთა სახეების და ფუნქცია - დანიშნულების კვლევას ძველ ქართულში. წყაროებად გამოყენებულია სასულიერო თუ ორიგინალური წერილობითი ნიმუშები.

ნაშრომი მოიცავს: ანოტაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე, ორ თავს, ხუთ პარაგრაფს, დასკვნებს და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

Annotation

The study of Georgian preverbs has a long history, study of its origin and function-purpose is one of the interesting and noteworthy issues.

Although many things have been done in this regard, there still remain a lot of unclear and unspecified issues.

Ketevan Tsintsadze's work "Preverb in Old Georgian" is the survey of the types and function-purpose of the preverbs in old Georgian. The clerical or original written samples are used as sources.

The work includes the annotation in Georgian and English languages, two chapters, five paragraphs, conclusions and list of the literature used.

შინაარსი

შესავალი	5
თავი I ზმნისწინთა სახეობანი ძველ ქართულში	14
1.1. აღ- → ა; აღმო- → ამო- ზმნისწინები	15
1.2. გან→ გა- ზმნისწინები	16
1.3. წარ→ წა- ; წარმო- → წამო- ზმნისწინები	17
1.4. შთა→ ჩა- ; შთამო- → ჩამო- ზმნისწინები	18
1.5. გარდა- → გადა-; გარდამო- → გადმო- ზმნისწინები	18
თავი II ზმნისწინთა ფუნქციები	20
2.1. გემის და ორიენტაციის კატეგორია	22
2.2. მომავალი დროის და ასპექტის გამოხატვა ზმნისწინის საშუალებით	41
2.3. ახალი მნიშვნელობის ზმნათა წარმოება	45
2.4. ზმნისწინთა დამატებითი ფუნქციები ძველ ქართულში	45
2.5. ტმესი ძველ ქართულში	47
დასკვნები	49
გამოყენებული ლიტერატურის სია	50

ზ მ ნ ს წ ი ნ ი

(შესავალი)

ქართული საენათმეცნიერო გრამატიკაში ზმნისწინის წარმოშობა და ფუნქციონირების კვლევა ერთ-ერთი საინტერესო და საყურადღებო საკითხია. ქართული ზმნისწინის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს (ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქართული ენის გრამატიკაში ზმნისწინის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია). მიუხედავად ამისა, ამ კუთხით კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი და დასაზუსტებელი, კერძოდ, სისტემურადაა შესასწავლი ზმნისწინთა განაწილება.

ზმნისწინს ისტორიულად კავშირი აქვს თანდებულებთან და ზმნისართებთან. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მორფოლოგიური აღნაგობითა და ფუნქციითაც ზმნიზედა, თანდებული და ზმნისწინი ურთიერთკავშირშია (მდრ.: შინ, სახლსა შინა, შევიდა). ისინი თავიანთი ძირითადი ფუნქციებით სივრცის გაგებასთან არიან დაკავშირებული, სამივესთვის ამოსავალია დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა – ზმნიზედა, რომელიც ძველ ქართულში ძირითადად მიმართულებას გამოხატავდა, შემდგომში (თანდებულად და ზმნისწინად ჩამოყალიბების პროცესში) მანარმოებელი ელემენტების თანდათან ჩამოცილების გზით დაკარგა დამოუკიდებლობა, ზმნისწინისა და თანდებულის სახით მოგვევლინა. ზმნისწინის ძირითად ფუნქციად ასპექტის გამოხატვა იქცა და ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიზღუდა მიმართულების გამოხატვის შესაძლებლობაც. ამგვარად, ზმნისწინი და თანდებული მაშინ მოშორდნენ ერთმანეთს, როცა დაკარგეს დამოუკიდებლობა და მორფემებად იქცნენ. სახელისთვის აუცილებელი გახდა 10 თანდებულის დართვა, რადგან ზმნისწინმა განწყვიტა სახელთან შინაარსობრივი კავშირი (პ. ჯაჭანიძე, არ. მარტიროსოვი, ი. ვეშაპიძე). სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია ყურადღება იქნა გამახვილებული ზმნისართთა, თანდებულთა და ზმნისწინთა ისტორიული ურთიერთმიმართების საკითხზე. კ. გაბუნიას აზრით, კვლევის საფუძველს წარმოადგენს ძირეული მასალის იგივეობა

და გენეტიური კავშირი. ქართულ ენაში ზმნისართთა ერთ ჯგუფში ძირეულ ელემენტებად გამოიყოფა -ზე და ქუე- ზმნისართები, რომლებიც ძველ ქართულში ადგილობითი ზმნისწინის ფუნქციით იხმარებოდა; და- ზმნისწინიც მომდინარეობს დაბ- ძირისაგან (შდრ.: არსებითი სახელი დაბა, ზედსართავი დაბალი // დაბლა), რომელიც მინის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო ძველად; ზმნისართები წინ, წინაშე, უკან წარმოდგენილია ზმნისწინებით წა[რ]-, უკუ-; შინა, შიდა, შიგნით და სხვ. გამოიყოფა საერთო ელემენტი _ თანდებული ში- (სახლში, წყალში...), აგრეთვე ზმნისწინი შე- // შა- (გაბუნია, 1993: 73-76). როცა ზმნისწინს მიმართულების აღნიშვნის გარდა სხვა ფუნქციაც დაემატა, მან განყვიტა სახელთან შინაარსობრივი კავშირი და ამიტომ სახელისთვის აუცილებელი გახდა თანდებულის დართვა (ჯაჯანიძე, 1952-53: 116).

ზმნისწინს ბევრმა ქართველმა თუ უცხოელმა მკვლევარმა უძღვნა ნაშრომები. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ზმნისწინები, ერთი მხრივ, ძალიან მდიდარია შინაარსობრივად, ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გახსნილი გრამატიკული მორფემა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ზმნისწინი დღესაც ბევრი სპეციალისტის ყურადღების ცენტრში დგას.

ჩვენი ინტერესიც სწორედ ძველ ქართულში ზმნისწინთა ფუნქცია - დანიშნულებამ გამოიწვია, ამ მიზნით გავეცანით ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს „ნიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“ (შესაქმისად, გამოსლვათად) რომელიც გამოსაცემად მომზადდა ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ასევე შევისწავლეთ V-XII საუკუნის ჰაგიოგრაფიული ტექსტებიც, როგორცაა იაკობ ცურტაველის „მარტვილობად შუშანიკისი“, იოვანე საბანიძის „მარტვილობად ჰაბოდისი“, „ცხოვრება მეფეთა“ ლეონტი მროველის - ამ და სხვა სასულიერო თუ ორიგინალურ წერილობითი ნიმუშების შესწავლით, შევეცდებით ზოგადი ვითარება ავხსნათ ზმნისწინის მდგომარეობისა ძველ ქართულში.

ვიდრე საკითხის მიმოხილვას შევეუდგებოდეთ, აღსანიშნია ზმნისწინის დართვა-დაურთველობის საკითხი; აკაკი შანიძე ზმნებს ზმნისწინთა დართვა-დაურთველობის თვალსაზრისით ორ ჯგუფად ყოფს:

1. ზმნები ან ზმნის ფორმები, რომელთაც ზმნისწინი არ დაერთვის სრულებით, ასეთებია: სწამს, უყვარს, სძულს, ჰღვიძავს, სძინავს, დგას, სწყურია, ჰშია, სცალია, აჩნია, სწერია, მასწავლებლობს, კითხულობს, ცოცხლობს და მისთ.

2. ზმნები, რომელთაც შეუძლიათ ზმნისწინი დაერთონ ან არ დაერთონ: მაგ: ხატვა და და-ხატვა, გრეხა და და-გრეხა, კრეფა და მო-კრეფა, წერა და ჩა-წერა, ფრინავს და მი-ფრინავს, გორავს და და-გორავს“(შანიძე,1980).

აქვე აღნიშნავს ავტორი, რომ იშვიათად გვხდება ისეთი ზმნებიც, რომლებიც უზმნისწინოდ არ იხმარება. გვაქვს მი-ვიდა, მო-ვიდა, წარ-ვიდა, მაგრამ ცალკე „ვიდა“ არ მოგვეპოვება.

ლ. კვაჭაძე ამ თვალსაზრისით სამ ჯგუფს გამოყოფს:

1. ზმნები, რომლებიც ზმნისწინს არ დაერთავენ: უყვარს , სძულს, სცემს, ყრია..

2. ზმნები, რომელთაც მოეპოვებათ წყვილ-წყვილი ფორმები, განსხვავებულნი ერთმანეთისაგან გარეგნულად ზმნისწინის დართვა-დაურთველობით (ხატავს და და-ხატავს; აქო და შე-აქო..)

3. ზმნისწინიანი ფორმები, რომელთაც უზმნისწინო პარალელური ფორმები არ გააჩნიათ: წა-ვიდა, მი-ფრინდა, გა-გორდა..

სამ ჯგუფს გამოყოფს აგრეთვე ნ. ლოლაძეც:

1. ზმნები, რომლებიც ზმნისწინს არ დაერთავენ;

2. ზმნები, რომლებიც უზმნისწინოდ არ გვხდებიან და

3. ზმნები, რომლებსაც ზმნისწინი შეუძლიათ დაერთონ ან არ დაერთონ .

ავტორი აღნიშნავს, რომ პირველი და მეორე ჯგუფი შეპირობებულია ზმნის სემანტიკით, ანუ ზმნისწინის დართვა - დაურთველობა მხოლოდ ზმნათა მნიშვნელობაზეა დამოკიდებული, ხოლო მესამე ჯგუფში გაერთიანებული ზმნისწინიანი ფორმების „ქცევა“ დამოკიდებულია როგორც ზმნის, ასევე ზმნისწინის სემანტიკაზე.

ზმნისწინით დაინტერესება ჯერ კიდევ ძველი გრამატიკოსების ნაშრომებში შეიმჩნევა. ბუნებრივია, ძველ გრამატიკებში იგი გამონვლილვით ვერ იქნებოდა შესწავლილი, მაგრამ პირველი ცდები საყურადღებო და ანგარიშგასაწევია. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ქართული გრამატიკული ლიტერატურის უძველეს ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია. არსებობს ცნობები, რომ XI-XII სს-ში უნდა გვექონოდა გრამატიკული ლიტერატურა, კერძოდ, იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირისა და სხვათა შრომები. თუმცა, არ ვიცით ამ ნაშრომებში რამდენად იყო, და იყო თუ არა საერთოდ, მსჯელობა ზმნიზედური წარმომავლობის ნაწილაკებზე, რომლებმაც დამოუკიდებლობა დაკარგეს, სხვა სიტყვებს შეეზარდნენ და ზმნისწინებად ან თანდებულებად იქცნენ.

ისიც უნდა აღინიშნოს რომ ძველი ქართული ენის ძეგლებზე დაკვირვებით, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ძველ ქართველ მწიგნობრებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ცალკეულ ზმნისწინთა ესა თუ ის მნიშვნელობა. მაგალითად „სინურ მრავალთავში“ ერთ ადგილას იკითხება:

„აწ სუმეონ ესრუჭთი ესე ურვად ვითარცა მახვლისა **განსლვად** წინავე ქალწულსა მას აუწყა, რამეთუ ეტყოდა: «შენსაცა სულსა **განვლოს** მახვლმან».

არა თქუა, თუ «**დაადგრესო**» ანუ «**ეუფლოსო**», არამედ «**განვლოს**».

ესე არს, რამეთუ მცირედსა უამსა ურვად შეგემთხვოს და მუნქუესვე განერე“ (864 წლის სინური მრავალთავი). ეს ადგილი იმითაა საყურადღებო, რომ მასში ახსნილია **განსვლა** ზმნის მნიშვნელობა. ნათქვამია, რომ იგი გულისხმობს ჯერ გარედან შიგნით მოძრაობას (**შეგემთხვოს**), შემდეგ კი მაშინვე (მუნქუესვე) შიგნიდან გარეთ გასვლას, გაცილებას (**განერე**), ე. ი. ამ შემთხვევაში **განსლვა** ზმნა გამოყენებულია რაიმეში გავლის შინაარსით.

ქართული გრამატიკულ სახელმძღვანელოების ავტორთაგან პირველი, და ამავე დროს, სერიოზული ცდა ზმნისწინის შესწავლისა მოცემული აქვს ანტონ I-ს. ანტონი თავის გრამატიკაში ზმნისწინებს თანდებულთან საერთო წყებაში განიხილავს. თუმცა, იქვე, მაინც გამოყოფს ცალკე, საკუთრივ თანდებულებს, რომლებიც სახელს დაერთვიან და - ზმნისწინებს, რომლებიც ზმნას დაერთვიან.

ავტორი აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელნი თანდებულად არ მიიჩნევიან, ამიტომ მათთვის სხვა ტერმინებს იყენებს: **ზედდადებული, კერძოვი ზედდადებული, კერძოვი განმავითარი, ნიშანი განმავითარი**. ამ ტერმინებით მას აღნიშნული ქონდა მიმართულებითი ზმნისწინები(აღ-, აღმო-, შთა-, შთამო-, გარდა-, გარდამო-, და-, დამო-, მი-, მო-), რაც შეეხება ადგილობით ზმნისწინებს, რომლებიც ძველი ქართულისთვისაა დამახასიათებელი (ზე-, ქუე-, გარე-, წინა-), მათ -**კერძოვი დამნიშვნელს** უწოდებს. ანტონი იმასაც აღნიშნავს, რომ, ზმნას შეიძლება დაერთოს ორი და სამი ზმნისწინი: გარდამო-, წარმო-, შთამო-, მიდმო-(მიმო), აღმო-, შემო-, გამო- და სხვანი.

ზმნისწინის ჩამოყალიბებული სახით განსაზღვრას იოანე ქართველიშვილის „ქართულ დრამატიკაშიც“ ვხვდებით, სადაც ზმნისწინის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინები **მარცვალი ზედდადებული** ანუ **განმავითარებელი**.

ტერმინებით „თავსართი“ და „პრევერბი“ ზმნისწინი აღნიშნა ი. ნიკოლაიშვილმა, რომელმაც გამოყო ზმნისწინთა შემდეგი ფუნქციები: 1) მიმართულების აღნიშვნა; 2) მომავალი დროის ფორმების წარმოება; 3) ახალი შინაარსის ზმნების წარმოქმნა.

ამ დროის სხვა გრამატიკოსთა ნაშრომებშიც არის მსჯელობა ზმნისწინზე, თუმცა რაიმე ხელშესახები არ მოიპოვება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დანყებული ანტონი I-დან პლ. იოსელიანამდე არცერთ გრამატიკოს არ გაუმახვილებია ყურადღება ზმნისწინის მთავარ ფუნქციაზე -გამოხატოს ესა თუ ის მიმართულება. მოცემულ საკითხს პირველად შეეხო ქართველი მეცნიერი დავით ჩუბინაშვილი.

საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ქართულ ზმნისწინებზე ნიკო მარიც. იგი ზმნისწინთა ცალკეულ ჯგუფებს გამოყოფს და მსჯელობს მათი გენეზისის საკითხებზე. იგი ზმნისწინთა ხუთ ჯგუფს გამოყოფს, ესენია:

1. პირისადმი დამოკიდებულების ნაწილაკები (მი-, მო- , აგრეთვე მიმო-);
2. სამი სიბრტყისადმი, ანუ ზევითა, ქვევითა და ჩვენს ქვევითა სიბრტყეებისადმი დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილაკები(აღ-, და- , შთა-);

3. მარტივი ზმნისწინები, რომელთაგან ზოგიერთი თანდებულადაც გამოიყენება (გან-, გარე-, შე-, წარ-, წიალ-);

4. შედგენილი ზმნისწინი გარ-და, რომელიც არ უნდა გავაიგივეოთ გარდა თანდებულთან;

5. შედგენილი ზმნისწინები : აღმო-, შთამო- , გამო-, წარმო-, გარდამო- .

რაც შეეხება ზმნისწინის გენეზისს, ნაშრომში აღნიშნულია მი- და მო- ზმნისწინთა ნაცვალსახელურ წარმომავლობაზე, ასევე და- ზმნისწინის შთა-ს ფონეტიკურ სახესხვაობაზე. რაც შეეხება აღ- ზმნისწინს; ყველგან დაშლილი სახით აქვს მოცემული, თუმცა არ აქვს აღნიშნული მისი შემადგენელი ელემენტების რაობა.

მსჯელობს რა, ქართველური ზმნების შესახებ, გ.დუეტერსი მიუთითებს, რომ ზმნისწინიცა და თანდებულებიც ზმნიზედებისგან წარმოდგება. ავტორი დანვრილებით მსჯელობს მი- და მო- ზმნისწინების შესახებ და აღნიშნავს , რომ დიალექტებისთვის დამახასიათებელი მა- ზმნისწინი მო-ს უძველესი სახე უნდა იყოს, ხოლო მა- და მი- ზმნისწინებში ა და ი ხმოვანთა ისეთი დაპირისპირება უნდა გვექონდეს, როგორც მოცემულია აქა და იქა ზმნიზედებში.

საგანგებო მსჯელობაა მოცემული ივანე და ვახტანგ იმნაიშვილების წიგნში: „ზმნა ძველ ქართულში“. ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ:

„1. ზმნისწინს ძველ ქართულში ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული ზოგი ის ფუნქცია, რომლებიც დღევანდელ ენაში აქვს. მას არ შეეძლო, მაგალითად სრული ასპექტის წარმოება, ზმნისწინს არ შეეძლო დროის (მომავლის) წარმოება... ძველ ქართულში ზმნისწინის მთავარი დანიშნულება იყო ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულების ჩვენება... ზმნისწინი ზოგჯერ სხვა ლექსიკური მნიშვნელობის მისაღებადაც იყო გამოყენებული.

2. ძველ ქართულში გვაქვს ყველა ის ზმნისწინი ,რომლებიც დღესაც მოგვეპოვება. იქ დამატებით არის კიდევ ზმნისწინთა ორი წყვილი , რომლებიც ახალ ქართულს აღარ გადმოჰყოლია. ესენია უკუნ-, უკმო- და წიალ-, წიალმო-“ (იმნაიშვილი,1996:18).

ქართული ზმნისწინების შესწავლის საქმეში დიდია აკაკი შანიძის დამსახურება. მან პირველმა შემოიღო ტერმინი ზმნისწინი. თავის „ქართულ გრამატიკაში“ მიუთითა ზმნისწინის პირველადსა და მეორეულ მნიშვნელობებზე. ამასთანავე, აღნიშნა, რომ ზმნისწინის პირველადი მნიშვნელობა - **მიმართულების აღნიშვნა**- ქართულში ორ რამეს გულისხმობს: ა) როგორია ურთიერთდამოკიდებულება მოძრაობაში სანყისა და სასრულ პუნქტებს შორის და, ბ) როგორია მოუბრის მდგომარეობა მიმართულების ჩვენების დროს(შანიძე, 1930: §60).

ნაშრომში „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, ა. შანიძემ კიდევ უფრო გააღრმავა და სრულყოფილად წარმოგვიდგინა ზმნისწინის შესახებ ცნობები. აქ ყველაზე ნიშანდობლივია გეზისა და ორიენტაციის ცალკე კატეგორიებად გამოყოფა. იქვე დასახელებულია ზმნისწინის ოთხი ფუნქცია: 1. აღნიშნოს მოქმედების გეზი, 2. აღნიშნოს ორიენტაცია, 3. დასრულებული სახით წარმოგვიდგინოს მოქმედება, 4. აწარმოოს სრულიად ახალი ზმნა.

ა. შანიძის შემდეგ არ იქნება გასაკვირი თუ შევეხებით **არნოლდ ჩიქობავას** გამოკვლევებს, რომელთაც სათანადო ადგილი უკავია ქართული ენის გრამატიკაში. ზმნისწინის აღსანიშნავად იგი იყენებს ტერმინებს - პრევერბი და წინდებული. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს **წარ-** ზმნისწინის გენეზისის და ფუნქციური მნიშვნელობის მისეული გამოკვლევა, რომელიც მოთავსებულია 1937 წლის ნაშრომში. ა. ჩიქობავა გამოყოფს ზმნისწინისთვის დამახასიათებელ 4 ფუნქციას:

1. ზმნისწინი აღნიშნავს მიმართულებას, თუ ზმნა გულისხმობს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას,
2. ზმნისწინი აღნიშნავს მოქმედების დამთავრებას (სრულ ასპექტს),
3. ზმნისწინი აწმყოსაგან აწარმოოებს მყოფადს და,
4. ზმნისწინს შეუძლია არსებითად ცვალოს ზმნის მნიშვნელობა. ავტორს მიაჩნია, რომ მათგან ზმნისწინისათვის პირველადია - მიმართულების აღნიშვნა, ხოლო აქედანაა განვითარებული მოქმედების დამთავრების ფუნქცია. აქვე ზმნის მნიშვნელობის ცვლა ზმნისწინის ძველთაძველ ფუნქციადაა მიჩნეული, ხოლო

დროის აღნიშვნა- ახალი. არნოლდ ჩიქობავამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ქართული გაცილებით უფრო ღარიბია პრევერბებით (ანუ ზმნისწინებით), ვიდრე ჭანური და მეგრული, სამაგიეროდ, უფრო მდიდარია თანდებულებით.

საინტერესოდ და სრულიად განსხვავებულად არის დანახული და წარმოდგენილი ზმნისწინი ბ. ჯორბენაძის ნაშრომებში, სადაც განხილულია მოცემული ენისათვის არატიპური ფორმა - და სიტყვანარმოების ისეთი მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ენის ბუნებას განვითარების გარკვეულ, კონკრეტულ საფეხურზე. ასეთ მოვლენებს ის ფაკულტატიურს უწოდებს, თუმცა არ გულისხმობს, რომ ისინი ენის შინაგანი ბუნებისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნებიან. ბ. ჯორბენაძის ნაშრომებში მოცემულია ცდა ფაკულტატიური მოვლენის სისტემატიზაციისა და შესაბამისი კვლევისა. მეცნიერი, ჩვეულებრივ, გამოყოფს ზმნისწინის ოთხ ძირითად ფუნქციას, მაგრამ მიაჩნია, რომ ზმნისწინის დართვა არ ნიშნავს მაინცდამაინც მიმართულების გამოხატვას. უფრო ხშირია ზმნისწინის გამოყენება მყოფადისა და ასპექტის სანარმოებლად. მიმართულება ხშირად თანამდევ ფუნქციად გვევლინება. ზოგჯერ ამ თვალსაზრისით ზმნა საერთოდ ნეიტრალურია (გააკეთებს-გააკეთა, დაწერს-დაწერა...) (ჯორბენაძე, 1995: 72).

უკანასკნელ ხანებშიც ასევე არა ერთი გამოკვლევა გამოქვეყნდა ზმნისწინებისა და თანდებულების ურთიერთობის შესახებ. მკვლევართა აზრით (ა.მარტიროსოვი, ზ.ჭუმბურიძე, ი. ვეშაპიძე, პ. ჯაჭანიძე...), ზმნისწინი, თანდებულის მსგავსად, დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა იყო, ანუ ზმნისწინი და თანდებული მომდინარეობენ სრულმნიშვნელოვანი სიტყვისგან - ზმნისართისაგან, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ უკანასკნელმა დაკარგა დამოუკიდებლობა და მიეკედლა ან ზმნას, ან სახელს. ზმნისწინი და თანდებული რომ ერთი წარმომავლობისაა, მათი გარეგნული მსგავსებითაც მტკიცდება.

საინტერესოა, რომ ზმნისწინებს ძველ ქართულში არ ჰქონდა ზოგი ის ფუნქცია, რომლებიც დღევანდელ ენაში აქვს. მას არ შეეძლო, მაგალითად, სრული ასპექტის წარმოება, ამიტომ *წერს* და *და-ს-წერს*, *ჭამს* და *შე-ბ-/ჰ-ს-ჭამს* ასპექტის მიხედვით

გარჩეული არ იყო, ყველა უსრულ ასპექტს გამოხატავდა; ზმნისწინს არ შეეძლო მომავალი დროის წარმოებაც.

ძველ ქართულში იყო ყველა ის ზმნისწინი, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არის (გამარტივებული სახით) და დამატებით კიდევ ზმნისწინთა ორი წყვილი, რომლებიც დღეს იშვიათია. ესენია: უკუნ-, უკმო- და წიაღ- და წიაღმო- (ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996: 5). მომავალი დროის გამოხატვასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოგვიანებით, ძველ ქართულშივე ასრულებს ზმნისწინი ამ ფუნქციას. ამიტომ დროის გამოხატვა ზმნისწინის ახალ ფუნქციად არ უნდა ჩაითვალოს (სალინაძე, 2008: 138). ზმნისწინს შეიძლება დაეკისროს ისეთი გრამატიკული ფუნქციის გამოხატვაც, რომელიც მისთვის დამახასიათებელი არ არის. ასეთია, მაგალითად, გვარის კატეგორია, უფრო ზედმიწევნით: აქტიურობა - პასიურობის ფუნქცია. მაგალითად: აქვს და ჰყავს ზმნების ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ ზმნისწინთა დართვის შედეგად გვარის გრამატიკულ ფუნქციას იცვლის, სემანტიკურად აქტიური ხდება, გარდამავალ ზმნას უთანაბრდება, რაც თავს იმაშიც იჩენს, რომ უღვლილებსას უკვე საკუთრივ მოქმედების ზმნა შეენაცვლება: მი-აქვს, წა-იღებს, მო-ჰყავს, მო-იყვანს. ყოველივე ამის წყალობით შესაძლებელი ხდება ერთი ფუძისაგან უამრავი ზმნური ფორმის წარმოება (ჯორბენაძე, 1985: 91-92). სემანტიკური დანიშნულებით გამოყენებულმა ზმნისწინებმა შესაძლოა:

ა) გამოხატონ ერთი და იმავე მოქმედების ორი ან მეტი ნაირსახეობა, ანუ: სემანტიკური ელფერით (ნიუანსით) დაუპირისპირონ ერთმანეთს ერთი მოქმედების ნაირსახეობანი: მო-კლა, და-კლა (უკანასკნელი მხოლოდ და მხოლოდ დანით, ხანჯლით... მოკვლაზე ითქმის);

ბ) წარმოქმნან ანტონიმები, ანუ: მნიშვნელობის თვალსაზრისით საპირისპირო ფორმები: წა-ართმევს - მი-ართმევს...

გ) წარმოქმნან ლექსიკურად სრულიად განსხვავებული ერთმანეთთან დაუკავშირებელი, სხვადასხვა სემანტიკური სისტემის ფორმები: ა-ავო, წა-ავო, და-

აგო, ჩა-აგო, მი-აგო... (ჯორბენაძე, 1985: 48). ზმნისწინი მიჩნეულია მწკრივთა მანარმოებლადაც (ჭუმბურიძე, 1986: 85-86, ფუტკარაძე, 2006: 92).

ზმნისწინი საშუალო ქართულში შესწავლილი აქვს ნ. ფარტენაძეს. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების საფუძველზე იგი ზმნისწინის ძირითადი ფუნქციების (გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა, სრული ასპექტისა და მომავალი დროის წარმოება, ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნა ანუ დერივაციული ფუნქცია) გარდა გამოყოფს სხვა დამატებით ნიუანსებს, მაგალითად, მოქმედების დაწყებითობას, ზღვრულობას, ოდნობას, ინტენსიობას, მოჩვენებითობას, უნებლიობასა და სხვ., აღნიშნავს იმასაც, რომ დამატებითი ნიუანსი ყველა ზმნისწინს არ მოეპოვება, შეიძლება მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანის სპეციფიკური ნიშან-თვისება იყოს (ფარტენაძე, 2009: 75).

სპეციალურ ლიტერატურაში მრავლადაა სხვა ნაშრომებიც, რომლებიც სპეციალურად ზმნისწინს არ ეძღვნება, თუმცა საუბარია ზმნისწინის შესახებ, რადგან ძველი ქართული ენის გამოცემული ძეგლების ენობრივი დახასიათებისას შეუძლებელია ამ თემას არ შეეხო. ასევე საყურადღებოა ის გამოკვლევებიც, რომლებიც ქართული დიალექტოლოგიის საკითხებს ეძღვნება და ამასთან განხილულია ზმნისწინთა სახესხვაობები ამა თუ იმ დიალექტის მიხედვით.

§1. ზმნისწინთა სახეობანი ძველ ქართულში

ძველ ქართულში არსებულ ზმნისწინთა რაოდენობა არ ემთხვევა დღევანდელისას. ზოგი ზმნისწინი სახეცვლილი გვხვდება, ზოგი დაიკარგა, ზოგმა - დაკარგა ზმნისწინის ფუნქცია.

თ. უთურგაიძე „ფლექსიურ ელემენტთა რანგების ცხრილში“ გამოყოფს ზმნისწინთა ოცდათერთმეტ ვარიანტს. ესენია : ა-, ალ-, ალმო-, გამო-, გან-, განმო-, გარდა-, გადმო-, გადა-, გარდმო-, და-, დამო-, მი-, მო-, მიმო-, შე-, შემო-, შთა-, შთამო-, ჩა-, ჩამო-, წა-, წამო-, წარ-, წარმო-, უკუ-, უკმო-, უკვმო-, უკმო-, გარ-, წიალ-, წიალმო-, ეს ნუსხა სრულად ასახავს ზმნისწინთა ყველა შესაძლო ვარიანტს ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე.

ტრადიციული შეხედულებით, ძველ ქართულში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: მი-, მო-, მიმო-, ალ-, ალმო-, და-, დამო-, გან-, გამო-, წარ-, წარმო-, შთა-, შთამო-, გარდა-, გარდამო-, უკუ-, უკმო-, შე-, შემო-, წიალ-, წიალმო-.

საშუალო ქართულში კი გვხვდება: მი-, მო-, ა- (←ალ-), ამო-(←ალმო-), გა-(←გან-), გამო-, და-, ჩა- (←შთა-), ჩამო-(←შთამო-), შე-, შემო-, წა-(←წარ-), წამო-(←წარმო-), გადა-(←გარდა-), გადმო-(←გარდამო-) სახით. ე.ი. ენის განვითარებასთან ერთად შეიცვალა ზმნისწინთა რაოდენობაც და შედგენილობაც. ფონეტიკური ცვლილებები ძველ ქართულშივე დაიწყო. ამ პროცესს დღეს დასრულებული სახე აქვს. „ძველში“ იგულისხმება პირვანდელი ზმნისწინები, რომელიც ძველი ქართულისთვის იყო ნიშანდობლივი, „ახალში“-კი ის ფორმები, რომლებიც ახალ ქართულში დამკვიდრებულა.

ძველი და ახალის მიხედვით განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტები ქართულში მოეპოვება ზმნისწინთა ხუთ წყვილს:

- 1) ალ→ ა; ალმო→ ამო;
- 2) გან→ გა- ;
- 3) წარ→ წა- ; წარმო- → წამო- ;

4) შთა→ ჩა- ; შთამო- → ჩამო- ;

5) გარდა- → გადა- ; გარდამო- → გადმო- ;

ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითები, ზმნისწინთა გამოყენების თვალსაზრისით კანონზომიერ სურათს იძლევა: ძველი აღთქმისა და V-XI საუკუნეების ჰაგიოგრაფიული ტექსტები უგამონაკლისოდ იყენებს ძველ სახეობას. ქვემოთ მოვიტანთ ამ შეხედულების საილუსტრაციო მაგალითებს:

1.1 აღ- → ა; აღმო- → ამო- ზმნისწინები:

აღ- ზმნისწინი ერთ-ერთი უძველესი ზმნისწინია ქართულში, რომელმაც დაკარგა ღ თანხმოვანი. ძველ ქართულ ტექსტებში თითქმის არ გვხვდება ისეთი შემთხვევა, სადაც გამარტივებული სახით იყოს წარმოდგენილი:

„და აღ-უშენა უფალმან ღმერთმან გუერდი“(შეს., 2.22, 68);

„ხოლო აღ-ღგეს კაცნი იგი“(შეს., 18.16, 114);

„რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა იგი მან აღ-აშკენა“
(მარტვილობად ჰაბოღსი, 2-60);

„მაშინ გამოვიდეს და აღ-იღეს ქუეყანით პატიოსანი იგი გუამი მისი..“(მარტვილობად ჰაბოღსი, 3-67);

„ვითარმედ არავინ აღ-ანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჯვმირსა..“(მარტვილობად ჰაბოღსი, 2-63).

აღმო შედგენილი ზმნისწინია, მიღებულია აღ- და მო- ზმნისწინთა შეერთებით:

„ რამეთუ მე აღმო-ვთხარე ჯურღმული ესე“(შეს.,21,30,131);

„ სისხლი იგი დათხეული მართლისა მის აღმო-თხრეს ქუეყანით“(მარტვილობად ჰაბოღსი, 3,67);

„ და მირბოდა ჯურღმულსა მას ვსებად და აღმო-ვსებად წყლისა და ასუა აქლემთა მათ ყოველთა“(შეს.,24,20,142);

„ხოლო ვითრ განთენდებოდეს კვალად ეგრეთვე აღმო-ქმნიან კარი ქვაბისა მის“(ცხოვრება მეფეთა,54);

„რომელ უამ სამე აღ-დვიან ამათვანნი ორნი ნათესავნი...“ (ცხოვრება მეფეთა, 51); „...რომლისა კარი აღმო-ქმნულ იყო ქვითა ძველად“ (ცხოვრება მეფეთა, 53);

„აღ-მამალო მე და კაცისა უკუთურისაგან მიხსენ მე“ (ფსალმუნნი, 17, 121);

„აღ-ვიმსთოთ ვენახებად, ვიხილოთ თუ ყვავიან ვენახნი“ (ქებად ქებათად, 7.13, 172);

„კბილნი შენნი, აღმო-მავალი საბანელით ...“ (ქებად ქებათად, 4.2, 168);

„აღ-დგეს ხმასა სასისასა“ (ეკლესიასტე, 12.4, 163)

„და აღმო-ვალს მზედ და ადგილსა თვისსა მივალს“ (ეკლესიასტე, 1.5, 145);

„მერმე აღმო-თხარნა ისაკ ჯურღმულნი წყლისანი“ (შეს., 26, 18, 159). აღ ზმნისწინის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ ლ იკარგება: აღვიარებ (ლ. 10, 21), მაგრამ აგრეთვე: ავიარებ (მ. 11, 25); აღჯდა იგი ნავსა (მ. 8, 23 C), მაგრამ: იგი აჯდა ნავსა (მრ. 4, 1 C); აჯოცად (ლ. 1, 25 C)

ამრიგად, აღ-//აღმო- ზმნისწინი ძველი ქართულის დონეზე გაბატონებულია და თითქმის უცვლელი სახითაა ძველი ქართულის მთელ პერიოდში შექმნილ წერილობით ტექსტებში. თუმცა ძველი აღთქმისა და V-XI საუკუნეების ჰაგიოგრაფიული ტექსტებში მოულოდნელად თავს იჩენს რამდენიმე ა- ზმნისწინიანი ფორმა, რაც შემდეგ უკვე ბატონდება.

1.2 გან- → გა- ზმნისწინი:

„გან- ზმნისწინში გა- ძირეული მასალაა, ნ' ნარჩენია ნა- ელემენტისა, რომელიც დასტურდება თანდებულებსა და ზმნისართებში: ში-ნა; ზე-ნა.“ (ჯაჯანიძე, 1953:113).

„ და გან-ასრულნა ღმერთმან დღესა მეშვიდესა“ (შეს., 2, 2, 66);

„ გან-ეხუნეს თუალნი ორთანივე და ავრძნეს, რამეთუ შიშუელი იყვნეს..“ (შეს., 3, 8, 69);

„გან-ხმა, ვითარცა კეცი, ძალი ჩემი და ენად ჩემი სასასა ჩემსა აეწვა და მიწად სიკვდილისა შთა-მხადე მე“ (ფსალმუნნი, 21, 123);

„რაჟამს **გან-ვიდა**, იყო მის თანა ერისაგან მისისა“ (მარტვილობად ჰაბოღსი, 2-61);

„**გან-იღვიძა** ფარნავაზ და **გან-უკვირდა**“ (ცხოვრება მეფეთა, 53);

„ესე არიან განყოფილნი ქართლოსის ძეთანი და რომელნი **გან-ყვნა** დედამან მათმან“ (ცხოვრება მეფეთა, 50);

„და **გან-ყვნა** ცოლმან ქართლოსისმან ხუთნივე იგი გმირნი, შვილნი მისნი“ (ცხოვრება მეფეთა, 50);

„ცხოვნდა იგი მრავალთა წელთა და **გან-მრავლდა** ნათესავი მისა“ (ცხოვრება მეფეთა, 49);

„**გან-ვიდა** მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი“ (ცხოვრება მეფეთა, 49)

„ხოლო ვითრ **გან-თენდებოდეს** კვალად ეგრეთვე აღმო-ქმნიან კარი ქვაბისა მის“ (ცხოვრება მეფეთა, 54).

როგორც წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, ძველ ქართულში გან-ზმნისწინი გამარტივებული სახით იშვიათად გვხვდება. გამარტივება სინურ მრავალთაში იწყება და შემდგომი პერიოდის ძეგლებში სულ უფრო და უფრო მრავლდება.

1.3 წარ- → წა; წარმო- → წამო ზმნისწინები

წარ- ზმნისწინში გამოიყოფა წა' და რ'. როგორც არამ მარტიროსოვი აღნიშნავს, „რ' ნარჩენია რე' ნაწილაკისა, რომელიც ზმნისართებში დასტურდება: გა-რე; გა-რე-შე; გა-რე-მო“ (მარტიროსოვი, 1953:85).

„ამან ინება **წარმო-სლვად** თჳსი აქა ერის-მთავრისა“ (მარტვილობად ჰაბოღსი, 2,60);

„რაჟამს **წარ-ხვდე** შენ ნათესავისა ჩემისა და არ მოგცეს შენ..“ (შეს, 24,41,145);

„**წარ-ვიდეს** ქუეყანად თილისტიმედ“ (შეს, 21,32,131);

„ და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მონამედ **წარმო-გითხარ**“ (ქებად და დიდებად ..., 47);

„რომელი შესაძლებელ იყო, განძისა მისგან **წარ-იტანა** თნა“ (ცხოვრება მეფეთა, 54);

„ხოლო დედასა ფარნავაზისსა **წარ-ეყვანა** ფარნავაზი“ (ცხოვრება მეფეთა, 52);

„შვილო ჩემო დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და **წარ-მიყვანე** მამულსა ჩემსა ასპანს“ (ცხოვრება მეფეთა, 53);

„ანუ თუ **წარმო-ეტეოს** ნაძვსა, ანუ თუ ყვავოდის მრონეული“ (ქებად ქებათად, 7.13, 172);

„ნელსაცხებელ **წარმო-ცალიერებულ** სახელი შენი“ (ქებად ქებათად, 1.3, 164);

„**წარ-ვიდეს** და იქმნეს იგინი ქალაქსა შინა“ (ეკლესიასტე, 10.15, 161);

„და **წარმო-ვიდა** მიერ აბრაამ ქუეყანად ჩრდილოდ ..“ (შეს., 20, 1, 124);

„და **წარმო-ვიდა** მიერ აბრაჰამ და მოვიდა და დაიბანაკა უდაბნოსა მას“ (შეს., 12, 9, 93);

„და **წარ-იყვანა** მონამან ათი აქლემი“ (შეს., 24, 10, 141);

„აღდგომილნი **წარ-ვიდეს** ჯურღმულად ფიცისა“ (შეს., 22, 19, 135).

წიალ იხმარება წყალზე გადასვლის აღსანიშნავად: წყალი შეიძლება იყოს მდინარე (დიდი თუ მცირე), ტბა, ზღვა: წიალვიდა იქით, სადაც არა ვარ, წიალმო კი – იმავე მიმართულებას, მაგრამ 1-ლი პირისაკენ: **წიალმოვიდა**. ეს ზმნისწინიც იშვიათად იხმარება:

განაპო ზღუად და წიალიყვანა იგინი (ფს. 77, 13).

ამრიგად, მოძიებული მასალა ცხადყოფს, რომ **წარ-** ზმნისწინი ძველ ქართულში მხოლოდ გაუმარტივებელი სახით გამოიყენება. თუმცა დაახლოებით XI-XII საუკუნეებიდან ახალი სახე ბატონდება.

1.4 შთა→ ჩა-; შთამო- → ჩამო- ზმნისწინები

აკადემიკოს ა. შანიძეს ჩა-, ჩამო- ზმნისწინები შთა-, შთამო-საგან აფრიკატიზაციის გზით მიღებულად მიაჩნია. პროფ. ზ. სარჯველაძის აზრით კი, შთ კომპლექსი კი არა, თშ კომპლექსი გვაძლევს ჩ-ს, ისევე, როგორც თს>ც და არა სთ→ც.

„**შთა-ვარდა** შური შორეის შვილთ ქართლოსისთა“ (ცხოვრება მეფეთა, 51);

„განხმა, ვითარცა კეცი, ძალი ჩემი და ენად ჩემი სასასა ჩემსა აეცვა და მიწად სიკვდილისა შთა-მხადე მე“ (ფსალმუნნი, 21, 123);

„და შთა-მაცვ მე ძალი ბრძოლასა“ (ფსალმუნნი, 17, 120);

„და ვინ იცის სული ძეთა კაცთად, უკვეთუ აღვალს იგი ზე, სული პირუტყვთად, უკვეთუ შთა-ვალს იგი ქვეყანად“ (ეკლესიასტე, 3.21, 150);

„და შთა-ვიდა აბრამ შთასლვად ეგვიპტეს მსხემობად მუნ...“ (შეს., 12.11, 93).

1.5 გარდა→გადა; გარდამო→გადმო;

გარდა- ზმნისწინი რთული შედგენილობისაა, „შეიცავს გა, რე, და -ს და-დამოუკიდებელ ზმნისწინადაც გვხვდება, რომელსაც მნიშვნელობით აღ-უპირისპირდება, რ' ნარჩენია რე- ნაწილაკისა, გა- კი იგივე ძირეული მასალაა, რაც სხვა ზმნისწინებსა და ზმნიოსართებშიც დასტურდება: გა-ნ; გა-მო; გა-რე“ (მარტიროსოვი, 1953:92).

ძველ ქართულში ძირითადად **გარდა-**, **გარდამო-** ზმნისწინები იხმარება:

„და დღე იგი, მწუხრი, **გარდა-ხდა**“ (ცხოვრება მეფეთა, 53);

„**გარდა-ქცეული** იგი ვერ ხელენიფების შემკობად“ (ეკლესიასტე, 1.15, 146);

„**გარდა-ვიდე** უკუე, ვიხილო, უკუეთუ ღალადებისაებრ მათისა ..“ (შეს., 18.21, 115);

„რომელ იგი ღმერთმან **გარდა-აქციოს**“ (ეკლესიასტე, 7.13, 155);

„მოვედით, **გარდა-ვიდეთ** და შეურინეთ მათ ენანი მუნ..“ (შეს., 11, 7, 89);

„და ინრაფა და **გარდამო-ილო** მკლავთა თვსთა ზედა და ასუა მას“ (შეს., 24, 18, 142);

„და **გარდამო-ვიდა** უფალი ხილვად ქალაქისა“ (შეს., 11.5, 89);

„**გარდამო-ვიდეს** ფრინველნი მძორთა მათ ზედა“ (შეს., 15, 11, 103);

„და **გარდა-რბიოდა** ლაბან წყაროდ“ (შეს., 24, 29, 144).

გარდა- ზმნისწინის გამარტივება ძველ ქართულშივე იჩენს თავს. ახალი სახით წარმოდგენილია როგორც მარტივი ფორმა, ისე რთული.

§2 ზმნისწინთა ფუნქციები ძველ ქართულში

რა არის ზმნისწინის ძირითადი ფუნქცია? ქართულსა და რუსულში, აგრეთვე ყველა იმ ენაში, სადაც ზმნისწინი დასტურდება, როგორც წესი, ზმნისწინი დაერთვის ზმნას. ეს ხდება სხვადასხვაგვარად. მაგალითად, ძველ ქართულში გარკვეულ პერიოდში ზმნისწინი განსაზღვრავდა ზმნის მნიშვნელობას: ძველად იყო სიტყვა ჯდა (“იყო ერთი მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა” – “ვეფხისტყ.”). ჩნდება კითხვა: რატომ არის ფორმა ჯდა და რას აღნიშნავს იგი? ძველად ეს ნიშნავდა არა ერთჯერად მოქმედებას, არამედ უწყვეტ ფორმას იმ გმირის მოქმედებისა, რომელზედაც იყო ლაპარაკი. ახალ ქართულში ფორმა ჯდა აღარ არსებობს.

ძველი ქართულის ჯდა ახალ ქართულში შეიძლება ნიშნავდეს ორ რამეს: 1. მოქმედება ჯერ არ დამთავრებულა და ის გრძელდება; 2. მოქმედება დასრულდა. არსებითი განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის არის ის, რომ ამ მხრივ ჯდა ერთსა და იმავე დროს შეიძლება იყოს სრულიცა და არასრულიც. ქართულში უსრული ასპექტის გამოსახატავად გაჩნდა ფორმა იჯდა. მაგალითად: მოყმე ვინმე იჯდა წყლის პირას. ეს ნიშნავს, რომ მოყმე განაგრძობდა ჯდომას ანუ ფორმა ჯდა მარკირებულია მხოლოდ უსრული ასპექტით. ახალ ქართულში იგივე ფორმა ჯდა შეიძლება სხვაგვარად იყოს გაფორმებული: დაჯდა. რა განსხვავებაა იჯდასა და დაჯდას შორის ახალ ქართულში? ფორმა დაჯდა აღნიშნავს მხოლოდ დასრულებულ ერთჯერად მოქმედებას, მეტს არაფერს. ამის შედეგად ქართულმა ზმნამ გაიმდიდრა თავი იმით, რომ სწორედ ზმნისწინის წყალობით დაზუსტდა, როგორი სახე აქვს ამა თუ იმ მოქმედებას: ის ერთჯერადია, კონკრეტული და უკვე დასრულებული თუ ის შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც უსრული – ჯერ დაუმთავრებელი. ძველ ქართულს ეს კონკრეტული გრამატიკული ფუნქცია, გარკვეული ფორმით გამოხატული, არ ჰქონდა.

ზმნისწინთა ფუნქციებიდან ყველაზე ძველია გეზისა და ორიენტაციის აღნიშვნა, ასევე ახალი ლექსიკური მნიშვნელობის წარმოება, თუმცა, ძველ ქართულ ტექსტებში

ამ ფუნქციით აქა-იქ გამოიყენებოდა; ახალი და, შეიძლება ითქვას, მთავარი ფუნქცია არის ასპექტისა და მომავალი დროის წარმოება.

ზმნისწინის ფუნქციები შინაარსობრივად ორგვარია ლექსიკური და გრამატიკული. ლექსიკური ფუნქციები პირველადია, გრამატიკული კი-მეორეული. ლექსიკური ფუნქციებია:

1. მოქმედების მიმართულების აღნიშვნა;
2. მოქმედების შინაარსში სხვადასხვა აზრობრივი ელფერის შეტანა;
3. სრულიად ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნა;

გრამატიკული ფუნქციებია:

1. სრული ასპექტის გამოხატვა;
2. მოქმედების გადატანა ანმყოფიდან მომავალ დროში;
3. ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის გარდამავლად გადაქცევა.

სემანტიკური ფუნქცია ა. შანიძეს ზმნისწინის მეორეულ მნიშვნელობად მიაჩნია. მისი აზრით, ზმნისწინი, რა თქმა უნდა, წარმოქმნის ელემენტია, მაგრამ მისი საშუალებით ზმნა ძალიან არ არის დაშორებული ძირეული ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას: წარმოქმნილი ზმნა, გეზისა და ორიენტაციის გარდა, იგივეა, რაც ძირეული. ამასთანავე ზმნისწინმა შეიძლება დაკარგოს ამ ორი ფუნქციის აღნიშვნის უნარი და გადაიქცეს სრულიად ახალი ზმნის მანარმოებელ ელემენტად. მკვლევარს დასახელებული აქვს კალ ფუძე: მო-კლა და და-კლა. ორივე გულისხმობს სიცოცხლის წართმევას, მაგრამ სხვადასხვაგვარად, მო-კლა-ო თუ თქვეს, ვგულისხმობთ სიცოცხლის წართმევას საზოგადოდ, არ ვიცით, თუ როგორ და რა საშუალებით; მაგრამ, თუ თქვეს, და-კლა-ო, ვგულისხმობთ, რომ სიცოცხლე წაურთმევიათ წაქცეულისთვის რაღაც მჭრელი იარაღით. მო-კლა და და-კლა ზმნები, თუმცა ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ განსხვავება მათ შორის არ არის გეზობრივი ხასიათისა, არამედ სხვაგვარი. აღნიშნულ ზმნისწინებს აღარაფერი კავშირი აქვს გეზის აღნიშვნასთან (შანიძე, 1980: 253).

2.1 გეზის და ორიენტაციის კატეგორია

გეზის კატეგორია პირველად აკაკი შანიძემ გამოყო. მან სივრცეში მდებარე ამა თუ იმ პუნქტისადმი ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართებას (ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით, გარედან შიგნით, შიგნიდან გარეთ..) გეზი უწოდა. თავის გრამატიკაში გეზის შესახებ ასეთ განმარტებას გვაძლევს: „გეზის სახელით აღვნიშნავ ზმნით გამოხატული მოქმედების დამოკიდებულებას სივრცეში მდებარე სხვა პუნქტთან, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ეს დამოკიდებულება უარყოფითია ან დადებითი. თუ უარყოფითია, ზმნა არ აღნიშნავს არავითარ მიმართულებას არც ერთ პუნქტებისაკენ, მოქმედება აბსოლიტურია ყველა პუნქტისადმი ნეიტრალურია, დადებით შემთხვევაში მოქმედება მიმართულია რომელიმე პუნქტისაკენ. პუნქტი შეიძლება იყოს მაღლა ან დაბლა, შიგნით ან გარეთ, გაღმა ან გამოღმა, ზედაპირზე ან სიღრმეში, წინ ან უკან“ (შანიძე, 1980: 238). გეზი ორგვარია: მიმართული და მიუმართავი. უზმნისწინო ფორმა მიუმართავი გეზისაა, ზმნისწინიანი კი მიმართულისა. აკაკი შანიძემ მიმართული გეზის ცნებად მიმართულება გამოყო. ე. ი. მიმართულების ცნება გაუთანაბრა გეზის კატეგორიას. ის მიმართულებას ასე ახასიათებს: „მოძრაობა სივრცეში (მიმართულება) შეიძლება იყოს ხუთი სახისა:

- ა) ქვევიდან ზევით;
- ბ) ზევიდან ქვევით;
- გ) შიგნიდან გარეთ;
- დ) გარედან შიგნით;

ე) ისე, რომ დაძლეული იქნეს მოძრაობის დროს წინ დახვედრილი რაიმე დაბრკოლება (ღობე, შენობა, მდინარე, მთა)“. აქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: „მიმართულების ცნება სხვა არის და ორიენტაციის სხვა. მიმართულება როგორც

გრამატიკული კატეგორია, გულისხმობს მოძრაობას სივრცეში რომელიმე მიმართულებით ამა თუ იმ გარემოში მყოფი პუნქტისაკენ, მაგრამ ისე, რომ მოუხარი პირის პოზიცია მხედველობაში არ არის მიღებული“ (შანიძე, 1973:242-244).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფილია აგრეთვე წინა და უკანა არეში მიმართულების გამომხატველი ზმნისწინები წარ-, წარმო-, უკუ-, უკმო- და ორიენტაციის გამომხატველი მი- და მო- ზმნისწინები. ი. ვეშაპიძე გამოყოფს რკალური მოძრაობის ზმნისწინებსაც: გარდა- და გარდამო-. იგი მიმართულების მიხედვით გამოყოფს ზმნისწინის ოთხ ძირითად ჯგუფს, რომელშიც შედის ცხრა ქვეჯგუფი, ესენია:

I.ჰორიზონტალური მიმართულების ზმნისწინები:

1. საკუთრივ მარინენტირებელი ზმნისწინები (მი-, მო-);

„ და აღ-უშენა უფალმან ღმერთმან გუერდი, რომელი მო-ილო აღამისაგან“ (შესაქ.:2 22 68);

„და თქუა ღმერთმან: აჰა, მი-გეც თქუნ ყოველი თივა და სათესავი“ (შესაქ.: 1, 29, 65);

„მო-უნოდა//მი-უნოდა აბიმელიქ ისააკსა და ჰრქუა...“ (შესაქ.: 26, 9, 158);

„რომელი მო-ჰსცა მას ღმერთმან ...“ (ეკლესიასტე:5.18,153);

„მომე-წითუნეს მე დღესა ჭირისა ჩემისასა“ (ფსალმუნნი:17,119);

„და მი-რბიოდა კაცისა მიმართ გარე წყაროსა ზედა“ (შესაქ.:24,29,144);

„ხოლო შე წარვედ და მიმო-სდევ სასუფეველი ღმრთისაჲ“ (ლევიტელთა:9,60);

„რამეთუ მიმო-ტაცებაჲ შრომისაჲ მო-სცა ძეთა კაცთასა, რადთა მიმო-იტაცებოდიან მას შინა“ (ეკლესიასტე:1.13,146).

2. წინა არეში მიმართულების ზმნისწინები (წარ-, წარმო-);

“რომელი შესაძლებელ იყო,განძისა მისგან წარ-იტანა თნა“ (ცხოვრება მეფეთა:54);

„ხოლო დედასა ფარნავაზისსა წარ-ეყვანა ფარნავაზი“ (ცხოვრება მეფეთა:52);

„შვილო ჩემო დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარ-მიყვანე მამულსა ჩემსა ასპანს“ (ცხოვრება მეფეთა:53);

„ანუ თუ **წარმო-ეტეოს** ნაძვსა, ანუ თუ ყვაგოდის მრონეული“(ქებად ქებათად“7.13,172);

„ნელსაცხებელ **წარმო-ცალიერებულ** სახელი შენი“(ქებად ქებათად:1.3,164);

„**წარ-ვიდეს** და იქმნეს იგინი ქალაქსა შინა“(ეკლესიასტე:10.15,161);

„და **წარმო-ვიდა** მიერ აბრაამ ქუეყანად ჩრდილოდ ..“(შესაქ.:20,1,124);

„და **წარ-იყვანა** მონამან ათი აქლემი“(შესაქ.:24,10,141);

3. უკანა არეში მიმართულების ზმნისწინები (უკუნ-, უკუ-, უკმო-);

„შეუკრნეს ჯელნი და ეგრეთ **უკუ-მჭუალნეს** კედელსა მის ბაგინისასა“(აპოკ.,5,17);

„**უკმოიქცია** სტეფანე მუნვე კრებულად“(სინ.მრავალთავი:59,1);

„**უკუნ-ვიქცით** გულითა ჩუენითა“(ფსალმუნნი:43,19);

II.ვერტიკალური მიმართულების ზმნისწინები:

4. ზევიდან ქვევით მიმართულების ზმნისწინები (და-, დამო-, შთა-, შთამო-, გარდა-, გარდამო-)

„**შთა-ვარდა** შური შორეის შვილთ ქართლოსისთა“(ცხოვრება მეფეთა:51);

„განხმა, ვითარცა კეცი, ძალი ჩემი და ენად ჩემი სასასა ჩემსა აექვა და მიწად სიკვდილისა **შთა-მხადე** მე“(ფსალმუნნი:21,123);

„ და **შთა-მაცვ** მე ძალი ბრძოლასა“(ფსალმუნნი:17,120);

„და ვინ იცის სული ძეთა კაცთად, უკვეთუ აღვალს იგი ზე, სული შირუტყვთად, უკვეთუ **შთა-ვალს** იგი ქვეყანად“(ეკლესიასტე:3.21,150);

„და **შთა-ვიდა** აბრამ შთასლვად ეგვიპტეს მსხემობად მუნ(შესაქ.:12,11,93).

5. ქვევიდან ზემოთ მიმართულების ზმნისწინები (აღ-, აღმო-);

„ რამეთუ მე **აღმო-ვთხარე** ჯურღმული ესე“(შესაქ.:21,30,131);

„ სისხლი იგი დათხეული მართლისა მის **აღმო-თხრეს** ქუეყანით“(მარტვილობად ჰაბოღსი:3,67);

„ და მირბოდა ჯურღმულსა მას ვსებად და **აღმო-ვსებად** წყლისა და ასუა აქლემთა მათ ყოველთა“(შესაქ.:24,20,142);

„ხოლო ვითრ განთენდებოდეს კვალად ეგრეთვე **აღმო-ქმნიან** კარი ქვაბისა მის“(ცხოვრება მეფეთა:54);

„რომელ უამ სამე **აღ-ღვიან** ამათგანნი ორნი ნათესავნი...“(ცხოვრება მეფეთა:51);

„...რომლისა კარი **აღმო-ქმნულ** იყო ქვითა ძველად“(ცხოვრება მეფეთა:53);

„**აღ-მამალლო** მე და კაცისა უკუთურისაგან მიხსენ მე“(ფსალმუნნი:17,121);

III. შიგნით-გარეთა მიმართულების ზმნისწინები:

6. გარედან შიგნით მიმართულების ზმნისწინები (შე-, შემო-);

„**შეყო** ჯელი მისი წიაღადვე მისა და გამოყო ჯელით თუსი წიაღთაგან“(გამოსლვაჲ:4,7);

„**შეავლინე** ნავი ეგე ღრმად“(ლევიტელთა:5,4);

„მოიღო სასაკუმეველჳ და წმიდასა მას **შეისწრაფდა** დაუბრკოლებელად“(სინ. მრავალთავი:25,38)

7. შიგნიდან გარეთ მიმართულების ზმნისწინები (გან-, გამო-);

„რომელნი იყვნენ შორის მისა, **განივლტოდედ**“(ლევიტელთა:21,21);

„**გამოეფინის** მზჳ აღვილთა მათ“(სინ. მრავალთავი:79,10);

„**განაძეს** იგი გარეშე ქალაქისა მისგან“(ლევიტელთა:4,29);

„**გამოვიდა** მათა ლოტ წინაშე კარსა და კარი შემოიწება ზურგით(შესაქ.:19,6);

IV. რკალური მოძრაობის ზმნისწინები დაბრკოლების გადალახვით:

8. ხმელეთზე დაბრკოლების გადალახვა (გარდა-, გარდმო-);

„ **გარდა-რბიოდა** ლაბან წყაროდ,, (შესაქ.:24,29);

„**გარდა-ავორვიან** ლოდი იგი პირისაგან მის ჯურღმულისა“(დაბადება:29,3);

„აეროვან იქმნა პირი მისი და **გარდამოართუა** შჯული ერსა თუსსა“(სინ.მრავალთავი:114,12);

9. წყალზე დაბრკოლების გადალახვა (წიაღ-, წიაღმო-)(ვეშაპიძე, 1967:37-38).

„რამეთუ განაპო ზღუაჲ და **წიაღიყვანნა** იგინი“(ფსალმუნნი:77,13);

„...და წარივლტოდა იგი და ყოველივე მისი. და წიაღმოჴდა მდინარესა“ (დაბადება:31,21).

კ. გაბუნია მიმართული და მიუმართავი გეზის ცნებებს განიხილავს ახალი მომენტის - სანყისობა-სასრულობის გათვალისწინებით. ავტორი ზმნისწინთა ხმარებისას ვერტიკალურ სიბრტყეზე მოქმელთან მიმართების ოთხ ქვესახეს გამოყოფს:

1. ქვევიდან ზევით (მოქმელის დონემდე) მიმართულება;
2. ქვევიდან (მოქმელის დონიდან) ზევით მოქმედების მიმართულება ;
3. ზევიდან ქვევიით (მოქმელის დონემდე) მიმართულება;
4. ზევიდან (მოქმელის დონიდან) ქვევიით მიმართულება(გაბუნია, 1993: 125).

ორიენტაცია მიუთითებს, თუ საით მიემართება პირდაპირი ობიექტი (თუ ზმნა გარდამავალია) ან სუბიექტი (თუ ზმნა გარდაუვალაია), აქეთ მოიმართება და I პირს უახლოვდება, თუ იქეთ მიიმართება და შორდება I პირს. ამის მიხედვით გვაქვს მაახლოვებელი და მაშორებელი ორიენტაცია, ანუ სააქეთო და საიქეთო. გარკვეულია ისიც, თუ რომელი ზმნისწინი გადმოსცემს სააქეთო ან საიქეთო ორიენტაციას. ორიენტაციის კატეგორიის დაყოფა „საიქეთოდ“ და „სააქეთოდ“ გათანაბრებულია ზმნისწინთა დაყოფასთან „მარტივად“ და „რთულად“. გამონაკლისად ჩაითვლება ცალკე აღებული მო- ზმნისწინი, რომელიც შემდგომ გეზის აღმნიშვნელ ელემენტებთან შერწყმით გვაძლევს სააქეთო ორიენტაციის გაგებას. როდესაც ა. შანიძე ძველი ქართულის გათვალისწინებით ზმნისწინთა ათ წყვილს გამოყოფს ორიენტაციის მიხედვით დაპირისპირებულ, საიქეთო (მი, აღ, და, გან, შთა, გარდა, წარ, უკუ, წიაღ) და სააქეთო (მო, აღმო, (დამო), განმო, შთამო, გარდმო, წამო, (უკმო)).

იქვე დასძენს: „შიდილება დავასკვნათ, რომ მაშორებელი ორიენტაციის ზმნისწინები მარტივია, მაახლოვებლისა კი ყველა რთული, გარდა პირველისა. მაგრამ ასეთი დასკვნა სწორი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზმნისწინის შედგენილობას მო-ს დართვა-დაურთველობის თვალსაზრისით შევხედავთ. მაგრამ მაშორებლებშიც მოიპოვება რთული შედგენილობის ზმნისწინი, მაგ: ჩა <- შთა <- ში

<- და <- შე-და... თუ მო- დართულ ფორმებს არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გაუმეორებელ ზმნისწინათა რიცხვი დღევანდელ ქართულში იქნება ცხრა: მი, გა, მო, შე, ა, და, ჩა, გადა, წა. ეს არის ის ძირითადი მარაგი, რომლითაც ქართული ენა ახერხებს მოქმედების მიმართულებას სივრცეში კონკრეტულად წარმოგვიდგინოს და თანაც გვიჩვენოს მოუბარი პირის ურთიერთობა ამ მიმართულებასთან“ (შანიძე, 1973:247-248).

საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს კ. გაბუნია წიგნში „ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში“: „ორიენტაცია გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც ფორმობრივ გარკვეული ოპოზიციის სახით არის წარმოდგენილი; ოპოზიციის ერთი წევრი მარკირებულია, ხოლო მეორე უპირისპირდება მას ნულოვანი ნიშნით (პრივატული ოპოზიცია). მო- ზმნისწინიანი სააქეთო ორიენტაციის ფორმობრივი ნიშანია, მაგრამ საიქეთო ორიენტაციას მი- ზმნისწინის სახით არ გააჩნია ნიშანი“ (გაბუნია, 1993:38).

ძველ ქართულში ხშირად ერთმანეთის პარალელურად გვქონდა ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ზმნისწინს უკვე აღარ ეკისრებოდა მიმართულების გამოხატვა:

რომლითა სასჯელითა სჯიდეთ, მითცა დაისაჯნეთ// რომლითა სასჯელითა სჯიდეთ, მითცა ისაჯნეთ(იოანე, 17.22).

ქართულში ორიენტაციის კატეგორიის საყრდენად ორი ზმნისწინია მიჩნეული: მი- და მო-. გეზის კატეგორიისაგან განსხვავებით, მოქმედება ხდება ან მოსაუბრისაკენ, ან საწინააღმდეგო მხარეს. გეზის ნებისმიერი ნიშანი გამოდგება ორიენტაციისათვის: ყველა შემთხვევაში გვეჩვენება ისეთი მიმართულება, რომელიც საწინააღმდეგო მხარისაა; ხოლო თუ გეზის გამომხატველ ზმნისწინებს დავურთავთ მო- ზმნისწინს, გვეჩვენება სააქეთო ორიენტაცია. მი- და მო- ზმნისწინები მხოლოდ ხმოვანი ელემენტებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ი- და ა- ელემენტები მიუთითებენ იმაზე, თუ რა მიმართებაშია ზმნით გამოხატული მოქმედება მთქმელის პოზიციასთან: უახლოვდება, თუ შორდება მას. „ ი- ელემენტის ხმარება საიქეთო ორიენტაციის აღმნიშვნელ ზმნისწინებში

ქართულისათვის სრულიად ბუნებრივია“ (გაბუნია, 1993:41)... მკლევარი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ქართული ენისათვის არ უნდა იყოს დაუშვებელი მა-> მო გადასვლა და არ გამოორიქხავს, რომ მო- ზმნისწინისეული ო შეიძლება იყოს მიღებული წინამავალი სონანტის მიერ ასიმილაციის გზით. იქვე დასძენს, რომ მა- ზმნისწინის მო-ში გადასვლა საკმაოდ ძველი პროცესი უნდა იყოს, რადგან ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ლიტერატურულ ძეგლებში მო- ზმნისწინი ფიქსირდება.

ასეთივე მოსაზრება გამოთქვას თავის დროზე ა. მარტიროსოვმა და გ. დეეტერსმა. ა. მარტიროსოვის აზრით, „თითქოს მოულოდნელი იყო აქეთა მიმართულების გადმოსაცემად ზმნისწინში ა ყოფილიყო გამოყენებული, რადგან ქართულში მას ი- ს საპირისპირო პოზიცია უჭირავს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოცხალ მანარმოებელ აფიქსად გვევლინება ნაცვალსახელებისა და ზმნისართების სამეულთა სისტემაში. მოლაპარაკე პირთან სიახლოვე - სიშორის განსაზღვრა რომ ა და ი ხმოვნებთან არის დაკავშირებული, იქედანაც ჩანს, რომ დიალექტებში ოდენ ხმოვნები (ა, ე, ი) ასრულებენ სათანადო ნაცვალსახელისა და ზმნისართის ზემოაღნიშნულ ფუნქციას“ (მარტიროსოვი, 1953:82). ავტორი იქვე დასძენს, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნათა ერთი ნაწილი მო- ზმნისწინს დაირთავს, ხოლო მისი საპირისპირო მი- ზმნისწინიანი ფორმები არ მოგვეპოვება. ძველსა და საშუალო ქართულში კი მი- ზმნისწინიანი ფორმა ჩვეულებრივი იყო.

მი- და მო- ზმნისწინები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ურთიერთსაპირისპირო ორიენტაციას გამოხატავენ. მათთვის ამოსავალი პირველი პირის პოზიციაა, აქედან გამომდინარე, აქვთ საერთო აღსანიშნი. ამასთან, ეს ზმნისწინები გვიჩვენებენ, უახლოვდება თუ შორდება ზმნით გადმოცემული მოქმედების სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი პირველი პირის პოზიციას. ეს უკვე მათი განსხვავებული ნიშანია. საერთო აღსანიშნის გამოხატვა, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, მ ელემენტს უნდა ეკისრებოდეს. „წარმომავლობით იგი პირველი პირის ნაცვალსახელურ ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული და არა მესამე პირის ნაცვალსახელურ ძირთან (მან)“ -აღნიშნავს ი. ვეშაპიძე, (რომელიც არ ეთანხმება მარტიროსოვისა და ნ. მარის გამოთქმულ ვარაუდს ამ საკითხთან დაკავშირებით).

მი- ზმნისწინის ი ელემენტის ფუნქციაა: „მიუთითოს მოუბარი პირისაგან დაშორებულ საგანზე. ეს ,ი‘ იგივე ჩვენებითი ნაწილაკია, რომელიც მესამე პირის ნაცვალსახელური ძირიდან უნდა მომდინარეობდეს“ (ვეშაპიძე, 1967:107). განსხვავებული შეხედულება აქვს კ. გაბუნიას, იგი ვარაუდობს, რომ პირველი პირის პოზიციის ამსახველი ელემენტის ნაშთი არ უნდა იყოს მ ელემენტი: „იგი სწორედ მან ნაცვალსახელური ძირის ცვეთის შედეგად უნდა გვექონდეს მიღებული. მან ძირისაგან, რომელიც არც პირველი პირის ადგილს გამოხატავს, არც მეორე პირისას“ (გაბუნია, 1993:41).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ მი- ზმნისწინი გვიანდელია მო- სთან შედარებით. აქედან გამომდინარე, ძველ ქართულში იგი უფრო იშვიათად უნდა იხმარებოდეს, ვიდრე მო- ზმნისწინი. ეს საკითხი ცალკე კვლევას საჭიროებს.

გეზისა და ორიენტაციის კატეგორიების ზოგადი განხილვისას ცხადი გახდა, რომ ზმნა, ცალკე აღებული უზმნისწინოდ, არ აღნიშნავს მიმართულებას არცერთი პუნქტისაკენ და მოქმედება აბსოლუტურია, ანუ ყველა პუნქტისადმი ნეიტრალური. ზმნისწინით ნაწარმოები სიტყვის ფორმირებისას საყრდენი მორფემის სემანტიკასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თემის ნიშანს.

მიმართულების (გეზისა და ორიენტაციის) აღნიშვნა, როგორც უკვე აღინიშნა, ზმნისწინის პირველადი ფუნქციაა და, როგორც ირაკლი ვეშაპიძის მონოგრაფიიდან არის ცნობილი, ძველ ქართულში ზმნისწინს ეკისრებოდა ეს ფუნქცია. ზმნისწინთა გარკვეული ჯგუფის მიხედვით განვიხილოთ, თუ როგორ გამოიხატება გეზისა და ორიენტაციის კატეგორია ძველ ქართულში.

1. აღ-(ა-), აღმო-(ამო-) ზმნისწინები ქვევიდან ზევით მიმართულებას აღნიშნავენ:
 - „ წარილო შეშად იგი მსხურაპლისად და აღ-ჰკიდა ისაკს“ (შესაქ.:22,6,133),
 - „ და აღ-უხილნა ღმერთმან თუალნი მისნი“ (შესაქ.:21,19,129),
 - „ და აღ-უშენა ნოე საკურთხეველი ღმერთსა...“ (შესაქ.:8,20,82),

აღ-\\ ა- და აღმო-\\ამო- ზმნისწინებს ქვევიდან ზევით მიმართულების ჩვენების გარდა კიდევ აღნიშნავს რაღაც სიღრმიდან ზედაპირისკენ მიმართულებას. ეს ფუნქცია ძირითადი ფუნქციის განვითარების შედეგადაა მიღებული:

„ დაყვეს იგი ფილისტიმელთა მათ და აღ-ავსეს ი / აღმო-ავსნეს იგი მინითა“ (შესაქ.:26,15,159),

„ და მირბოდა ჯურღმულსა მას ვსებად და აღმო-ვსებად წყლისა და ასუა აქლემთა მათ ყოველთა“ (შესაქ.:24,20,142),

„ რამეთუ მე აღმო-ვთხარე ჯურღმული ესე“ (შესაქ.:21,30,131),

„ ეკალსა და კუროსთავსა აღმო-ვიცილებდეს შენ და სჭამდე თივასა ველისასა“ (შესაქ.:3,18,70).

“ და აღმო-ავენა ღმერთმან მერმეცა ქუეყანისაგან...“ (შესაქ.:2,9,67).

2. და- ზმნისწინი ეტიმოლოგიურად მიწის აღმნიშვნელ დაბ' ძირს უკავშირებდა (შანიძე, 1953:268). ამიტომ და- ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქციაა ქვევითკენ, მიწისკენ მიმართული მოძრაობის გადმოცემა. ეს ზმნისწინი ზევიდან ქვევით „მოძრაობის გამოსახატავად იხმარებოდა და ნაწილობრივახლაც იხმარება და-“ (შანიძე,1953:249). თუმცა „და- ზმნისწინის ხმარების არე ზევიდან ქვევით მიმართულების აღსანიშნავად ძალიან შეზღუდულია... ამ მნიშვნელობით დღევანდელ ენაში გაბატონებულია ჩა-, რომლის პირველადი მნიშვნელობა მეტია, ვიდრეა ზევიდან ქვევით“ (შანიძე,1953:249):

“ და და-ასხნა ივინი ღმერთმან სამყაროსა ცისასა“ (შესაქ.:1,17,63);

„...რომელთ შოვრის და-მკვიდრებულ ვარ ქუეყანასა მათსა“ (შესაქ.:24,37,145);

„ რომელსა შინა და-მკვიდრებულ იყო ლოტ“ (შესაქ.:19,29,122);

„მუნ შივა და-იმშრალა წვიმისა მისგან“ (ცხოვრება მეფეთა:53);

„შეჰკრეს იგი, ვითარცა თხიერსა, წყალთა ზღვისათა და და-სხამს, საუნჯეთა შინა უფსკრულთა“ (ფსალმუნნი:32,125);

„და და-იფარნეს წყარონი უფსკრულისანი ..“ (შესაქ.:8,2,81).

და- ზმნისწინიანი ზმნები არამართო ზევიდან ქვევით, ზედაპირზე მიმართულ მოქმედებას აღნიშნავენ, არამედ ისეთსაც, რომელიც ზედაპირის ქვევით, სიღრმეში

ვრცელდება. მართალია, ზევიდან ქვევით, სიღრმეში მიმართულების ჩვენება ჩა-
ზმნისწინის ძირითადი ფუნქციაა, მაგრამ აღნიშნული ფუნქცია მეტ-ნაკლებად და-
ზმნისწინსაც მოეპოვება.

„...რადთა არა და-მელა მე ეგვპტეს“ (დაბადება:47,29);

„... და-სთესა აბრაჰამ ყანად ჯურღმულსა მას თნა ფიცისასა“ (დაბადება:21,33).

3. შთა- // ჩა- შთამო- // ჩამო- ზმნისწინთა ფუნქციაც ზევიდან ქვევით, სიღრმისკენ
მიმართულების ჩვენებაა:

„ ხოლო აღდგეს კაცნი იგი მიერ და შთა-ხედნეს პირსა ზედა სოლომთ და
გომორთასა“ (შესაქ.:18,165,114),

„ ნუ შთა-ხუალ ეგვიპტედ...“ (შესაქ.:26,2,157);

„ რადთა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთა-სლვად..“ (ლუკა:8,31);

„... დამუსრა იგი მწულილად და შთა-აბნია იგი წყალსა მას“ (გამოსლვად:10,19)

სიღრმისკენ მიმართულების აღნიშვნის ფუნქცია განზოგადებულია წყლის
სიღრმეზეც და ისეთ წარმოსახვით სამყაროზეც, როგორც იყო ადამიანთა აღქმაში
ჯოჯობეთი.

„... და შთა-ავლინოთ სიბერე ჩემი მწუხარებით ჯოჯობეთა“ (დაბად.42,38);

შთა-//ჩა-, შთამო-// ჩამო- ზმნისწინები გვიჩვენებენ აგრეთვე ისეთ
მოძრაობას, რომელიც ქვევით, დაქანებულ ზედაპირზე, დაღმართზე
მიემართება.

4. გან-//გა- გამო- ზმნისწინებით შიგნიდან, დახშული არიდან გარეთ მიმართული
მოქმედება გამოიხატება:

„ გამო-უჩნდა მას უფალი და რქუა“ (შესაქ.:26,2,157),

„ გამო-შხადოდეს ლოტს და ეტყოდეს მას...“ (შესაქ.:15,5,118),

„ და სახელი ძმისა მისისა იობალა. ესე იყო გამო-მაჩინებულ საფსალმუნისა და
ებნისა“ (შესაქ.:4,21,73),

„ და გან-იყვანნა იგინი გარე“ (შესაქ.:19,17,120),

„ და გან-ასრულნა ღმერთმან დღესა მეშვიდესა“ (შესაქ.:2,2,66),

„ და **გან-ეხუნეს** თუალნი ორთანხვე და აგრძნეს, რამეთუ შიშუელი იყვნეს..“*(შესაქ.:3,8,69)*,

„ და **გან-სწვალებდენ** შორის ნათლისა და შორის ბნელისა“*(შესაქ.:1,18,64)*,

„ და **გან-ორძნდა** ყრმა იგი და **გან-ყენა** სძესა“*(შესაქ.:21,8,127)*,

„ **გან-გეხუნენ** თქუენ თუალნი და იყვნეთ..“*(შესაქ.:3,5,69)*,

„ **გან-ვედ** ჩემგან, რამეთუ უძლიერეს ჩუენსა იქმენ ფრიად“*(შესაქ.:26,16,159)*,

„ **გან-მრავლებით** განამრავლნა მწუხარებანი შენნი“*(შესაქ.:1,6,70)*.

გან-//გა-, გამო- ზმნისწინიან ზმნებში შიგნიდან გარეთ მიმართული მოქმედების ჩვენებისას ზოგ შემთხვევაში ემატება გარე ზმნიზებაც, რაც კიდევ უფრო აზუსტებს ზმნის მოქმედებას.

გარდა დახშული არედან გარეთ მიმართული მოქმედებისას, გამო- ზმნისწინი გვიჩვენებს ღია არიდან გარეთ მიმართულ მოქმედებას, უფრო ზუსტად ასეთი მოქმედება შეიძლება აღვიქვათ, როგორც იქედან აქეთ მიმართული მოქმედება:

„ და **გამო-უჩნდა** უფალი აბრაჰამს“*(შესაქ.:17,1,107)*,

„ ქუეყანამან **გამო-იღედ** მწვანელი თივისა..“*(შესაქ.:1,11,63)*,

„ ასულნი ამის ქალაქისა მკვიდრთანი **გამო-ვლენ** ვსებად ნელისა“*(შესაქ.:24,13,141)*,

„ მესყულად რებეკა **გამო-ვიდოდა** და აქუნდა სარწყული მჭართა მისთა ზედა.“*(შესაქ.:24,45,146)*.

ირაკლი ვეშაპიძე შიგნიდან გარეთ მიმართულ მოძრაობად მიიჩნევს ისეთ გან-//გა-, გამო- ზმნისწინიან ზმნებს, რომლის დროსაც „ობიექტი მოძრაობას იწყებს სუბიექტის შიგნიდან და მოემართება გარეთ“*(ვეშაპიძე,1976:225)*.

გან-//გა, გამო- ზმნისწინიანი ზმნები გვიჩვენებს აგრეთვე ისეთ მიმართულებასაც, როცა მოქმედების ჩამდენი ჯერ შედის რაიმე სიღრმეში და შემდეგ საპირისპირო მხარეს გარეთ გადის. ასეთ მოქმედებას ი. ვეშაპიძე უწოდებს „რაიმეში გავლით შესრულებულ მოქმედებას“*(ვეშაპიძე, 1976:226)*.

„...შენსა თვსა **გან-ვლოს** მახვლმან“*(ლუკა:2,35)*;

„აღიმსთუე განთიად და დადევ წინაშე ფარაოფსა, რამეთუ იგი გამო-ვალს მდინარესა მაგას, და არქუ მას“(გამოსლვ.8,20);

გან-//გა-, გამო- ზმნისწინები დახშული არიდან სხვადასხვა მიმართულებით შესრულებულ მოქმედებაზეც მიგვითითებენ.

5. წარ-//წა, წარმო-//წამო ზმნისწინები გვიჩვენებენ წინა არეში მოძრაობას.

„**მან წარ-ავლინოს O// წარმო-ავლინენ CB ანგელოზი მისი წინაშე** შენსა..“(შეს.,24,40,145);

„**ისწრაფა და წარმო-აცალიერა სარწყული წყლის სასუმელსა** მას..“(შეს.,24,20,142);

„**წარ-ვიდეს ქუეყანად ფილისტიმედ**“(შესაქ.:21,32,131);

„**აღდევით ამიერ ადგილით, რამეთუ წარ-სწყმელს უფალი ქალაქსა** ამას“(შეს.,19,14,119);

„**წარ-ვიდა ისაკ აბიმელეჩისა**“(შესაქ.:26,1,156);

„**რაჟამს წარ-ხვდე შენ ნათესავისა ჩემისა და არ მოგცეს შენ.**“(შესაქ.,24,41,145);

„**არამედ წარ-ხვდე სახლსა მამისასა ჩემისასა**“(შესაქ.,24,38,145).

წარ-//წა-, წარმო-//წამო- ზმნისწინთა ერთ-ერთი ფუნქციაა ქვევით მიმართულების ჩვენებაც. ი. ვეშაპიძე ამის შესახებ აღნიშნავს: „ძირითადად ეს შინაარსი აქვს ქართული წა- ზმნისწინის შესატყვისებს: მეგრულ მიდა- ზმნისწინს, აფხაზურ წა- ზმნისწინსა და ჭანურ წალე ზმნიზედას“(ვეშაპიძე,1976:119).

„...**წარ-გუცვვედ** ჯელნი, რადთა აქუნდეს კადნიერებაჲ აღპყრობად უფლისა მიმართ...“(სინ.მრავალთავი:120,1);

„...უკუეთუ ვინმე სცეს თუალსა მონისა თვისისასა და **წარმო-უგლოს** მას“(გამოსლვ.,21,26);

„**წარმო-აცალიერა** სარწყული წყლის სასუმელსა მას“(დაბად.,24,20).

წარ-//წა-, წარმო-//წამო- ზმნისწინები ქვევიდან ზევით მიმართულებასაც უჩვენებენ:

„... **წარმო-დევ** წინაშე საკურთხეველსა ღმრთისასა“(ლევიტელთა,9,7);

„... გარდამოჴდა წვმაჲ, და **წარმო-ეცნეს** მდინარენი“(მათე,7,25).

ერთი კია, რომ წარ-//წა-, წარმო-//წამო ზმნისწინიან ზმნათაგან ქვევიდან ზევით მიმართულების ჩვენება ძირითადად კონტექსტმა უნდა განაპირობოს.

6. შე-, შემო- ზმნისწინები აღნიშნავენ გარედან შიგნით მიმართულებას:

“*შე-რბიოდა ყრმაჲ იგი სახილ დედისა თვისისა..*“ (შესაქ., 24, 28, 143);

„*შე-ისმინა მისი ღმერთმან და მუცლად ილო რებეკა*“ (შესაქ., 25, 21, 154);

„*რამეთუ წარესწყმედთ ჩუენ ამას ადგილსა, რამეთუ ამალღდა ღაღღებად მათი წინაშე უფლისა და მოგუავლინნა ჩუენ უფალმან შე-მუსვრად მაგას*“ (შესაქ., 19, 13, 119);

„*შემო-ქცეული მოვიდე შენდა უამსა ამას..*“ (შესაქ., 18, 10, 113);

„*გამოვიდა მათა ლოტ წინაშე კარსა და კარი შემო-ინება ზურგით უკანა თვისა*“ (შესაქ., 19, 6, 118).

მეტად საყურადღებოა შემდეგი მოვლენა: იმ ზმნებთან, რომლებიც დღეს შე- ზმნისწინიანია ძველ ქართულში აღ- ზმნისწინი გამოიყენება. მაგ: აღ-ჯდა, აღ-სუა...

ამ მოვლენას საფუძველი ძველ ქართულში უდევს. ზმნის სემანტიკიდან გამომდინარე, ყოველი ზმნისწინი ენობრივად მართებულად უნდა იყოს თავის მნიშვნელობაზე მორგებული. ამ მხრივ, როგორც ჩანს, ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ვითარება იყო: არის მთელი რიგი შემთხვევები, როცა ძველ ქართულში ერთი რიგის ზმნისწინები იხმარება, ახალში კი სხვა. ყველაზე მეტად ეს ეხება ზემო და ქვემო მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინებს. ასე მაგალითად: ძველ ქართულში ქვემოდან ზემოთ მიმართული მოქმედების აღსანიშნავად გარკვეულ პირობებში, როგორც წესი, აღ- ზმნისწინი იხმარებოდა. ცხენზე, ჯორზე, ვირზე, აქლემზე აღჯდა. ასეთ შემთხვევაში დღეს ვიყენებთ შე- და და- ზმნისწინებს: ცხენზე შეჯდა, დაჯდა, შესვა, დასვა... „, ეჭვი არაა, რომ თეორიულად და ისტორიულად აღ- უფრო მართებულია, ვიდრე შე- ან მით უმეტეს და-. აქლემზე შეჯდომა გამოხატავს ქვემოდან ზემოთ მიმართულ მოქმედებას, ამისთვის კი ქართულში (ძველსა და ახალში) სწორედ აღ- ზმნისწინია ზედგამოჭრილი. დღეს, რა თქმა უნდა, ენაში დაკანონებულ ფორმებს ვერაფერს შეცვლის, მაგრამ ისტორიულად

რომ დიდი უპირატესობა აქვს ძველი ქართულის აღ- ზმნისწინიან წარმოებას, სრულიად ცხადი და უდავოა“ (ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996:16).

საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი: რატომაა რომ მაინცდამაინც შე- და აღ- ზმნისწინები მონაცველობენ? ამის მიზეზი ფუნქციათა ერთიანობაში უნდა ვეძებოთ: ორივე ზმნისწინი (შე- და აღ-) გარკვეულ შემთხვევაში აღნიშნავენ ქვევიდან ზევით მიმართლებას.

შემო- ზმნისწინი აღნიშნავს აგრეთვე ირგვლივ, გარშემო მიმდინარე მოქმედებას:

„მოუნოდა იოსებ ძეთა თვსთა და ჰრქუა: **შემო-მიკერბით** და გითხრან თქუენ“ (დაბად., 49,1).

7. გადა-, გადმო-, გარდა-, გარდამო- ზმნისწინები და გეზის და ორიენტაციის კატეგორიები.

გადა- და გადმო ზმნისწინთა უპირველესი ფუნქციაა გვიჩვენონ აქედან იქეთ ან იქიდან აქეთ მიმართულების მოქმედება რაიმეზე გავლით ან დაბრკოლების გადალახვით.

„...**გარდა-გაცუოთ** საბელი ყელსა მისსა“ (აპოკრ. 36,10);

„...**გარდა-გარდა** სიმაღლისა მისგან“ (სინ. მრავალ. 52,26);

„და იწრაფა და **გარდამო-ილო** მკლავთა თვსთა ზედა და ასუა მას“ (შესაქ., 24,18, 142);

მიმართულების ცალკე სახედ გამოიყოფა დაბრკოლების გადალახვა. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მის გამოსახატავად გამოიყენება გადა- და გადმო- ზმნისწინები.

„...**გარდამო-ვიდოდა** ვითარცა ტრედი ზეცით“ (იოანე. 1,32);

„მოიყვანეს იგი ვიდრე წუერადმდე მთისა მის, რომელსა ზედა დაშენებულ იყო ქალაქი იგი მათი რაფთა **გარდამო-ავდონ** იგი“ (ლუკა. 4,9);

„**გარდამო-წდა** იგი მიერ მთით“ (მათე. 8,1).

8. უკუ (უკუნ) - უკუმო (უკმო) ზმნისწინები გადმოსცემენ ზმნით აღნიშნული მოქმედების უკანა არეში მიმდინარეობას. უკუნ აღნიშნავს მოძრაობას მიბრუნებით:

უკუნიქცა, უკუმო კი – მოძრაობას მობრუნებით: უკუმოიქცა. უკუნ იგივე „უკუნ“ არის: ამოღებულია ა და მის წინ მდგომი უ უმარცვლოდვე რჩება. უკუმო- ში კი ნ დაკარგულია მომღვენო მანის გამო. უკუნ და უკუმო იშვიათი ზმნისწინებია: უკუნდგეს, უკუნიქცეს, უკუნსცა („დაუბრუნა“), ნუ უკუმოიქცევინ („ნუ მობრუნდება“).

ისინი ძირითადად ერთი და იმავე შინაარსის ზმნებთან გამოიყენებიან; ამ ზმნისწინთა ხმარება ძველ ქართულში ზმნათა მეტად შეზღუდულ წრესთან იყო დაკავშირებული:

„შეუკრნეს ჯელნი და ეგრეთ უკუ-მშჳულნეს კედელსა მას ბაგინისასა“ (აპოკრ.5,17);

„უკმო-იქცია სტეფანე მუნვე კრებულად“ (სინ.მრავალ.59,1)

“და უკმოქცეულნი მოვიდეს ქვეყანასა კერსისა“ (შესაქ.,14,7)

ახალ ქართულში უკუნ- (უკუ-) ზმნისწინი გავიდა ხმარებიდან და მისი მაგივრობა უკან' ზმნიზედამ იკისრა. მიჩნეულია, რომ უკუ- ზმნისწინი უკუნ', უკან' ზმნიზედებისგან მომდინარეობს.

9. მი- და მო- ზმნისწინები და გეზისა და ორიენტაციის კატეგორიები.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის განმარტების მიხედვით მი- არის „წინსართი ზმნისა, რომელიც გამოხატავს: მიმართულებას იქით (საპირისპირო მო-)“ „სკოლაში მიაქვს, ჭიშკართან მიიღბინა... ხოლო მო- ზმნისწინი „აღნიშნავს მიმართულებას აქეთ (საპირისპირო მი-).“ მოცურავს ნაპირისაკენ...

ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში უფრო დანვრილებით არის განხილული მი- და მო- ზმნისწინთა მეშვეობით გადმოცემული ნიუანსები: მი- ზმნისწინი 1) აღნიშნავს მიმართულებას აქედან იქით, პირველი ან მეორე პირიდან მესამე პირისაკენ: მი-აქვს, მი-დის.. შეუძლია გამოხატოს, რომ მოქმედება მიმართულია I და II პირიდან დაშორებით მყოფი III ირიბ ობიექტური პირისაკენ: მი-ს-ცემს, მო-გ-ცემს). ძველ ქართულში გვხვდება II ირიბ-ობიექტურ ფორმასთანაც: „მიგცემ (-„მოგცემ“) შენ სიკიმასა საზეპუროსა ჩემსა“. 2) აღნიშნავს რაიმე მოქმედების თანამდევ სვლის (სიარულის) მიმართულებას: მი-იმღერის... 3) მი- და მო- ზმნისწინთა დაპირისპირება ობიექტური წყობის სამპირიან

ზმნებში დაკავშირებულია უშუალო (პირდაპირი) და ირიბი ობიექტების განაწილებასთან. I და II უშუალო ობიექტური პირი იგუებს მი- ზმნისწინს: მი-მ-ცემს, მი-გ-ცემს (შდრ: გა-მ-ცემს, გა-გ-ცემს..), ხოლო ირიბი ობიექტური პირი- მო- ზმნისწინს: მო-მ-ცემს, მო-გ-ცემს. 4)ზოგიერთ ზმნაში შეაქვს ზერელობის, ოდნაობის, მიახლოებითობის ან რაიმეს თანდათანობით კლების სემანტიკური ნიუანსი: მი-ამსგავსებს, მი-ავინყებს...

ძველ ქართულში ორიენტაცია უფრო ზუსტად გამოხატებოდა, სახელდობრ სააქეთო ორიენტაცია ანუ I პირისკენ მიმართული მოქმედება გადმოიცემებოდა მო- ზმნისწინიანი ფორმებით, საიქეთო კი პირიქით მი- ზმნისწინით. თანამედროვე ქართულში ვითარება შეიცვალა, ზმნათა უმრავლესობა დაირთავს მო- ზმნისწინს, თუმცა ამ შემთხვევაში ამ ზმნისწინის დართვა გაუმართლებელი ჩანს. ასეთი ზმნებია: მომტაცა, მომპარა და სხვა.

განსაკუთრებული განსხვავება ჩანს ძველსა და ახალს შორის მეორე პირის პოზიციისაკენ მიმართული მოქმედების აღნიშვნაში. ახალ ქართულში II პირი იგულისხმება I პირის მყოფობის არეში, ამიტომ მისკენ მიმართული მოქმედება ყოველთვის მახლოებელი ზმნისწინით გადმოიცემა. ძველ ქართულში კი მეორე პირი შეიძლებოდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, როგორც I ისე III პირის მყოფობის არეში და შესაბამისად, მისკენ მიმართული მოქმედებაც გამოიხატებოდა მახლოებელი და მაშორებელი ზმნისწინებით:

მიბრძანე მისულად შენდა(მათე,14.28),

მშვიდობასა ჩემსა მიგცემ შენ.

მიგცემ-მე (S)შენ(პ/ო) მას(ირ/ო). –ძველი

მიგცემ-მე (S)შენ (ირ/ო) მას (პ/ო)ქმარს.–ახალი

ზოგიერთი ზმნა, რომელიც დღეს საპირისპირო ორიენტაციისაა ზმნის შინაარსთან შედარებით, ძველ ქართულში ზუსტად გადმოიცემოდა:

მხეცმან ბოროტმან მიმტაცა იოსებ(მან მე იგი).

რაფსათვის მიმპარეთ ბარძიმი ჩემი ვერცხლისად?

უფალმა მომცა და უფალმანცა მიმილო.

მო აღნიშნავს მიმართულებას 1-ლი პირისაკენ, მი კი – მიმართულებას მე-3 პირისაკენ:

ჩუენდა მ ო მ ა რ თ იგავსა ამას იტყვ, ანუ ყოველთა მ ი მ ა რ თ (ლუკა, 12, 41 C).

რაც შეეხება მე-2 პირს, მას თავისი ზმნისწინი არა აქვს და სარგებლობს ან მე-3 პირის ზმნისწინს, ან 1- ლისას:

„ესე ყოველი მიგცე შენ“ (მათე, 4, 9);

„მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათადსანი“ (მათე, 16, 19);

„მოგავოს შენ ცხადად“ (მათე, 6, 4);

„მოგიგოს და გრქუას თქუენ“ (იოანე, 10, 25);

„ნეტარ არს, რომელმან მიგავოს მისაგებელი შენი, რომელ შენ მომაგე ჩუენ“ (ფსალმუნნი. 136, 8);

„რომლითა სანყაულითა მიუწყოთ, მითცა მოგენცოს თქუენ (მათე, 7, 2);

„მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ (იოანე, 13, 34

მო და მი ერთმანეთს ენაცვლებიან ერთსა და იმავე ადგილას: ვინ მ ო გ ც ა შენ ჳელნიფებად ესე (მათე, 21, 23 DE), ვინ მ ი გ ც ა შენ ჳელნიფებად ესე (იქვე, C).

ვახტანგ და ივანე იმნაიშვილებიხაზგასმით აღნიშნავენ: „მი- ზმნისწინი ძველ ქართულში ბევრად უფრო მორგებულად და მართებულად არის ნახმარი, ვიდრე ახალში. მი- ზმნისწინი იქითა რიგის (მაშორებელ) ორიენტაციას უჩვენებს, როცა მოქმედება I პირიდან მისგან შორს არსებული III პირისაკენ მიემართება: მიიყვანეს, მისგუარეს, მიუძღვნეს, მიუთუალეს, მიჰპარეს. აქ მი- ზმნისწინი აბსოლუტურად სწორედ არის ნახმარი. პარვა ხდება აქედან იქით, I პირიდან შორს, III პირისაკენ. ქურდმა, ვინც გაქურდა, მოპარული ნივთები წაიღო აქედან იქეთ.

ახალ ქართულის მომპარა და მომპარეთ წმინდა ენობრივი თვალსაზრისით, ჩვეულებრივ, უმართებულოა. ქურდს აქეთ, ჩემკენ, პირველი პირისკენ კი არ მოაქვს ნაქურდალი, არამედ აქედან შორს, III პირისაკენ (ვ. იმნაიშვილი, ივ. იმნაიშვილი, 1996:11).

მო- ზმნისწინის საშუალებით გადმოიყვამა ისეთი მოქმედებაც, რომელიც საგნის ზედაპირზე ანდა მის ირგვლივ სრულდება. ზედაპირზე განთენილ მოქმედებაზე მიგვითითებენ შემდეგი ზმნური ფორმები: მო-ჰფარვიდა, მო-ედვსა, მო-აბრწყინვეს, მო-წვეს, მო-აყარა.

„...თიჯად დამდვა თუალთა ჩემთა, და მოვიბანე და ვხედავ“ (იოანე, 9, 15);

მო- ზმნისწინითვე გადმოიყვამა ირგვლივ, გარშემო შესრულებული მოქმედებაც: მო-ეხვივნეს, მო-ინავარდა..

„განვიდა იოსებ პირისაგან ფარაოფისა და **მო-ვლო** ყოველი ეგვიპტე“ (დაბად. 41, 46).

„**მო-აპკურა** მოსე სისხლი იგი საკურთხეველსა მას გარემო“ (ლევიტელთა. 8, 24);

10. ყველა მიმართულებით, ირგვლივ შესრულებული მოქმედების ჩვენება **მიმო-** ზმნისწინის ძირითადი ფუნქციაა:

„**მიმო-ეფინებოდა** ამბავი მისთვის ყოველთა მათადგილთა“ (ლუკა, 4, 37);

„**მიმო-ვალნ** ურწყულთა ადგილთა“ (მათე 12, 43).

ხშირია, როცა მიმო ზმნისწინს თან ახლავს და ზმნისწინი:

„**ქადაგებად სულითა მიმო-და ქუნდეს**“ (შესაქ., 5, 5);

„**მოძულენი ჩუენნი მიმო-და-მიტაცებდეს ჩუენ**“ (ფსალმუნნი, 43, 11);

„**ინყო ქადაგებად და მიმო-და-ღებად სიტყუსა მის**“ (სინ. მრავალთავი, 1, 45).

ირ. ვეშაპიძის გამოკვლევით, აქეთ-იქით ერთდროული მოქმედების გადმოცემის ზემოაღნიშნული ფორმები ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპის კუთვნილებაა:

„1. ძველ ქართულში ჩვეულებრივია მიმო- ზმნისწინიანი ფორმები, 2. საშუალ ქართულში - ზმნასთან ერთდროულად დაკავშირებული მი და მო ზმნისწინები, 3. და მი და მო ზმნისწინთა მქონე ერთი და იგივე ზმნური ფუძის გაორკვეცება - ახალ ქართულში“ (ვეშაპიძე, 1967:302).

ამრიგად, ზმნისწინის ფუნქციები შინაარსობრივად ორგვარია ლექსიკური და გრამატიკული. ლექსიკური ფუნქციები პირველადია, გრამატიკული კი-მეორეული. მოძიებული მასალის ზოგადი მიმოხილვისას ცხადი გახდა, რომ ზმნა, ცალკე აღებული უზმნისწინოდ, არ აღნიშნავს მიმართულებას არცერთი პუნქტისაკენ და

მოქმედება აბსოლუტურია, ანუ ყველა პუნქტისადმი ნეიტრალური. ზმნისწინის უპირველესი ფუნქცია ძველი ქართულის დონეზე არის გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა. ორიენტაციის კატეგორიის საყრდენად ორი ზმნისწინია გამოყენებული: მი- და მო-. განსაკუთრებული განსხვავება ჩანს ძველსა და ახალს შორის მეორე პირის პოზიციისაკენ მიმართული მოქმედების აღნიშვნაში.

ასევე აღსანიშნია ი. ვეშაპიძის მიერ ადგილობრივი ზმნისწინების ცალკე ჯგუფად გამოყოფის საკითხიც. ადგილობრივ ზმნისწინებად ის მიიჩნევს : **ზე, ქუე, შინა, გარე, წინა** და **თანა** ზმნიზედურ ნაწილაკებს, რომლებიც ზმნასთან ურთიერთობაში ჩვეულებრივ ზმნისწინებად იქცევიან ,და არა დამუკიდებელ სიტყვებად - ზმნიზედებად, ეს კიდევ უფრო საგრძნობი ხდება სათანადო ზმნების უპირო ფორმებში, როგორცაა:ზე-აპყრობა, ზეახილვა, ქუენარმძრომელნი“(ვეშაპიძე, 1967:263-264).ასევე ადგილობრივ ზმნისწინებში აერთიანებს ახალი ქართულის ზმნისწინებიდან მიმო- ზმნისწინს, ამ უკანასკნელის გამოკლებით ყველა სხვა ზმნისწინი მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინთა ჯგუფში აქვს მოქცეული.

საყურადღებოა ის მსჯელობა თუ როგორ უნდა განვასხვავოთ ადგილის ზმნიზედა - ადგილობრივი ზმნისწინისგან:“ზმნიზედა ჩვეულებრივ გაფორმებულია ამა თუ იმ ბრუნვის ნიშნით ან თანდებულთა,ზმნისწინი კი გაუფორმებელია და გამიშვლებულ ძირს წარმოადგენს. მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დეტერმინანტული **ნ(ა)** ან **და** სუფიქსი(ვეშაპიძე,1967:267).

„**ნუ გარე მიიქცევ** პირსა შენსა მისგან“(მათე,5,42);

„**დავრდომილ იყო წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე ძურებოდა**“(ლუკა,16,20);

„შეეშინდა ფრიად ნეტარსა ელიას და **გარე-იქცა**“(ასურელთა ცხოვრება,52,34);

„**თანა-წარმავალთ მონასა თქვენსა**“(დაბადება,18,3);

„**კარავი იგი სანამებელისად ზე-ეპყრა**“(სინ.მრავალთავი,218,12);

„**ხოლო შენ ზედა-სდგა კლდესა**“(სინ.მრავალთავი,165,9);

„**დავრდომილ იყო წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე-ძურებოდა**“(ლუკა,16,20);

„**გარე-მოავლო** უფალმან ერსა თუსსა გზად“(გამოსლვაჲ,13,18);

„მაშინ დაბრკოლდებოდნენ მრავალნი და ურთიერთას შინა-განსცემდნენ“ (მათე, 24, 10);

„ნუ ჯელ-ენიფების ბრმასა ბრმისა წინა-ძღუნვად „(ლუკა, 6, 39);

„ხოლო აბრაჰამ თანა-ჯდა“ (დაბადება, 15, 11).

ამრიგად, შეიძლება დავსკვნათ, რომ ზმნა, ცალკე აღებული უზმნისწინოდ, არ აღნიშნავს მიმართულებას არც ერთი პუნქტისაკენ და მოქმედება აბსოლუტურია, ანუ ყველა პუნქტისადმი ნეიტრალური. ზმნისწინით ნაწარმოები სიტყვის ფორმირებისას საყრდენი მორფემის სემანტიკასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თემის ნიშანს. მიმართულების (გეზისა და ორიენტაციის) აღნიშვნა, ზმნისწინის პირველადი ფუნქციაა.

2.2 მომავალი დროის და ასპექტის გამოხატვა

ზმნისწინის საშუალებით

დროთა განმალღობაში ზმნისწინმა გაითვართოვა თავისი მოქმედების არე და ზმნისწინიანმა ანმყო მნყო *მომავალი დროის გამოხატვა* (დასწერს, მოჰკლავს, შეჰკრებს, განატფობს). ამგვარად, დღეს ზმნისწინის მეშვეობით ახლანდელი დროისაგან შეიძლება წარმოიქმნას მომავალი. როგორც ჩანს, ეს მოვლენა საშუალ ქართულში ჩამოყალიბდა, ხოლო თანდათანობით დამკვიდრდა ახალშიც. სათავე კი თვით ძველ ქართულში ძვეს, რამდენადაც მოიპოვება არა ერთი და ორი შემთხვევა, როცა ზმნისწინიანი ანმყო მომავალ დროს გამოხატავს. ამ საკითხს პირველად ყურადღება მიაქცია ა. შანიძემ. ახლებურ სისტემაზე პირველად მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები გადავიდნენ, რადგან ისინი ხშირად გამოიყენებოდნენ ენაში.

„რამეთუ მე ამიერთგან წარვალ თქვენგან და მონაზონ ვიქმნები ...“(ლიმონ.14,12-14);

„რამეთუ შენ მიერ სიხარული ყოველთა დაბადებულთა განეყოფის და ნათესავი კაცთად კუალად მიიღებს დასაბამითგანსა მას ჰატივსა“(სინ. მრავალთ.,9,5).

ზმნისწინის საშუალებით შეიძლება ზმნის ანმყოს ფორმისგან ვანარმოთ მომავალი. ძველ ქართულში ანმყოს ზმნისწინიანი ფორმები ვერ გამოხატავდნენ მომავალ დროს. ზმნისწინიანი თუ უზმნისწინო ფორმა ახლანდელ დროს გადმოსცემდა. მომავალი დროის გამოსახატავად ძველ ქართულში გამოიყენებოდა კავშირებითის ფორმები, საწყისის ვითარებითი ბრუნვა და მეშველი ზმნა („უნდაობითი ფორმები“). აღნიშნულ საშუალებათა გვერდით ენაში ჩნდება მესამე გზა-ესაა ზმნისწინიანი ანმყო. მას შემდეგ რაც ზმნისწინმა შეიძინა ასპექტის გამოხატვის უნარი, უზმნისწინო ფორმა ახლანდელი დროის აღმნიშვნელად დარჩა, ზმნისწინიანი ანმყოს ფორმებს დაეკისრათ მომავალი დროის გამოხატვა. ზმნისწინიანი ანმყოთი მომავალი დროის გამოხატვას

საფუძველი ძველ ქართულში ჩაეყარა და საბოლოო სახე ახალ ქართულში მიიღო.

ანმყო მყოფადის მნიშვნელობით ძველ ქართულში კანტი-კუნტად აქა-იქ გამოჩნდება, ამ ფუნქციით პრევერბიანი ანმყო ჩანასახის სახით IX-X საუკუნის ძეგლებში შეინიშნება.

“**ნუ დამიფინყებ** ჩუენ ადგილისა შენისა წმიდისა მკვდრთა და ნერგთთა მადლისა ჩუნისათა“ .

XI საუკუნიდან მრავლდება ასეთი შემთხვევები XVI-ში მკვიდრდება და საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს, XVII საუკუნეში ეს პროცესი იყო მეტად რთული, საკმაოდ ხანგრძლივი და იგი დაკავშირებული იყო ასპექტის წარმოებასთან. როგორია ქრონოლოგიური მიმართება მყოფადის გამოხატვის ორ წესს შორის, რომელია უფრო ადრინდელი კავშირებითი გამოხატვა თუ ზმნისწინიანი ფორმით? მკვლევართა უმრავლესობას პირველი მიაჩნია ადრინდელად, თუმცა ვერ ასაბუთებენ. ამოსავალი ამ შემთხვევაში არის ის, რომ კავშირებითი უფრო მეტად გვხვდება ძველ ძეგლებში და ამიტომ მიაჩნიათ გაბატონებულ ნორმად. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს წესი ისტორიულად პირველადია. მათი ქრონოლოგიური მიმართების უდაო საკითხი არ შეიძლება იყოს კავშირებითის მეტი რაოდენობა ძველ ძეგლებში. მყოფადის გამოსახატავად ანმყოფ ფორმები საკმაოდ ადრე ყოფილა გავრცელებული, ვიდრე კავშირებითი.

მთლიანად ზმნისწინს უკავშირდება *ასპექტის გამოხატვაში* მომხდარი ცვლილებები. ძველ ქართულში ზმნისწინს არ შეეძლო ეწარმოებინა სრული ასპექტი. სრულ და უსრულ ასპექტს ერთმანეთისაგან სერიები განასხვავებდა: I სერიის ფორმები უსრული ასპექტის იყო, II სერიისა კი- სრული. ასპექტის გამოხატვის ზემოაღნიშნული წესი ბერძნულია. შემდგომში ეს სისტემა შეიცვალა და ასპექტის გამოხატვის მთელი სიმძიმე ზმნისწინებმა იკისრეს. ზმნისწინიანი ფორმები სრული ასპექტის გახდა, უზმნისწინო - უსრულია. დღევანდელ ქართულში სწორედ ეს სისტემა მოქმედებს. ცვლილება ასპექტის გამოხატვაში დაჩნდება ჯერ კიდევ ძველი ქართული ენის ძეგლებში. ეს პროცესი თანდათან

გაძლიერდა საშუალო საუკუნეებში და თანდათანობით ჩამოყალიბებული სისტემის სახე მიიღო. ასპექტის გამოხატვის ახალ წესზე პირველად მოძრაობის, სვლის აღმნიშვნელი ზმნები გადავიდნენ. მას შემდეგ მიჰყვნენ სხვა ზმნური ფორმებიც.

სრული ასპექტის ზმნისწინის საშუალებით გადმოცემას უკავშირებენ, ერთი მხრივ, ზმნისწინის ზმნასთან უფრო მეტ დაახლოებას, რისი მიზეზიც ტმესის მოშლაა. მას შემდეგ რაც მოიშალა ზმნისა და ზმნისწინის გათიშვა სხვა სიტყვებით, ზმნისწინი ზმნას უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა, მისი განუყოფელი ნაწილი გახდა და დაეკისრა მომავალი დროისა და სრული ასპექტის წარმოება. ამ მოვლენას, მეორე მხრივ, წინა აზიის კულტურულ ერებთან კავშირის შენელებითა და კავკასიის ერებთან დაახლოებითაც ხსნიან.

„ცხოვრება...ესე წარვალს და განილევს და დიდება.. და შევნიერება... დაჭნების, ხოლო სიმდიდრე დალპების და წარწყმდების, რა...სა ცუდად ვმალლოით, რამეთუ ყოველნი მოკუდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი (დიდი პარაკლ.,18,1-3)

მოცემულ მონაკვეთში ჩვენთვის საინტერესო ზმნებით გადმოცემულია ისეთი მოქმედებანი, რომლებიც მომავალში მოხდება. ე.ი. მომავალი დრო ამ შემთხვევაში ზმნისწინითაა ნაწარმოები.

„ჰრქუა მას: ვიდრემდის, ძმაო ჩემო, ი ე ცე ო დ ი ამას უსამართლოებასა შინა და შიშა ღმრთისასა არა მოიგონებ გონებასა შინა და არა დასცხრები უკეთურთა ამათ და ბოროტთა საქმეთაგან“ (ლიმონ.72,32-73, 3);

„დაარწმუნა მას და ჰრქუა, რამეთუ: წმიდა... აღდგომა... მოგცემს შენ საქმარსა, რაოდენიცა გ ი ნ დ ე ს, და ფასსა ორ წილ, გარნა ნუ ხოლო ურჩ ექმნები მცნებასა ჩემსა“ (იქვე, 101, 4-7). მოცემულ ფრაზებში ერთმანეთის გვერდიგვერდ კავშირებითი მეორე და ზმნისწინიანი ფორმებია მომავალი დროის მნიშვნელობით.

„...და რაჟამს- იგი აღვიძრნეთ ჩვენ ზეაღმართ, დავეძიმდებით მინისა მიერ და ქუეყანისა, და რაჟამს-იგი ქუედამართ შთავილოდით, ვაიძულებთ ბუნებასა მას

ცეცხლისასა და გარეშე ბუნებისა მისისა ქუედამართ **შთავზიდავთ**“(ეჭუს დღ.13,22-25);

„ენებოს თუ **განაქარვებს** და კუალად მოაგებს ყოველსავე“(ბალავარ.71, 24-25);

„დღეს მისცემს და ხვალე **მოუღებს** და მერე იზღვევს“(იქვე107,5-6).

ამგვარად, სრული ასპექტის გამოხატვა ზმნისწინის მერმინდელი, შემდგომ შეძენილი ფუნქციაა. ასპექტის გამოხატვის ახლებური სისტემის ჩამოყალიბებაში ზმნისწინის როლის საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრება არსებობს საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ზმნისწინი ახალ ქართულში სრული ასპექტის წარმოების ერთადერთი საშუალებაა. ზმნისწინით ასპექტის გამოხატვა X საუკუნიდან დაიწყო და დასრულებული სახე XVII საუკუნეში მიიღო. გამოითქვა მეორე ნაკლებად გავრცელებული მოსაზრებაც, რომ ასპექტის წარმოებაში ზმნისწინს საკმაოდ მოკრძალებული ფუნქცია აკისრია, იგი მხოლოდ აწმყოსა და მყოფადის მწკრივებს უპირისპირებს ერთმანეთს, როგორც ასპექტის ოპოზიციის წევრებს(ფეიქრიშვილი, 1992:148).

2.3 ახალი მნიშვნელობის ზმნათა წარმოება

ზმნისწინს სხვა ფუნქციებთან ერთად სიტყვათსწარმოებელი როლიც აკისრია- შეუძლია **ახალი მნიშვნელობის** ზმნა აწარმოოს. ე. ი. ერთი და იმავე ძირისაგან სხვადასხვა ზმნისწინის დართვით განსხვავებული სემანტიკის ზმნებს მივიღებთ; ესაა დერივაცია, რომელიც მეორეული ფუნქციაა, თუმცა ძველ ქართულშიც მოგვეპოვება შესაბამისი მაგალითები: მოკლა - დაკლა, მოიკითხა - წარიკითხა, განაგდო - მიაგდო - დააგდო..

„და ვითარცა წარ-იკითხა წიგნი კურაპალატისაი პატივით მოწერილი „ (გრ. ხანძთელის ცხოვრება, 474-475);

ზმნისწინის დერივაციული ფუნქცია თანამედროვე ქართულში ფართოდაა განვითარებული. ზოგი ზმნისწინიანი ზმნა ძველ ქართულშიც განსხვავდებოდა მნიშვნელობით სხვა ზმნისაგან.

2.4 ზმნისწინთა დამატებითი ფუნქციები ძველ ქართულში

ზმნისწინის ძირითადი ფუნქციების გარდა (გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა, სრული ასპექტისა და მომავალი დროის წარმოება, ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნა, დერივაციული ფუნქცია), ზმნისწინს სხვა კიდევ ბევრი დამატებითი ნიუანსის გამოხატვა შეუძლია, მაგალითად, მოქმედების დაწყებითობა, ზღვრულობა, ოდნაობა, ინტენსიობა, მოჩვენებითობა, უნებლიობა და სხვა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დამატებითი ნიუანსების აღნიშვნის უნარი ყველა ზმნისწინს არ მოეპოვება, შეიძლება მხოლოდ, რომ ერთი რომელიმე მათგანის სპეციფიკური ნიშან-თვისება იყოს.

ზმნისწინის დამატებით ფუნქციებს ასპექტის კატეგორიასთან კავშირში განიხილავენ. ბესარიონ ჯორბენაძის აზრით, „ასპექტი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვინემ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაშია წარმოდგენილი, ასპექტი გულისხმობს არა მარტო მოქმედების დასრულება -დაუსრულებლობას, არამედ ერთგზისობა-მრავალგზისობას, წერტილებრივ-განგრძობითობას, ასპექტის სრული სახის დამატებითი სემანტიკური მახასიათებლებია: ოდნაობა

(წაიჩურჩულა); უნებლიობა (შემოეჭამა); მოჩვენებითობა (მოიგიჟიანა თავი); ფინალობა (გააკეთა); ზღვრულობა (მივიდა); არაზღვრულობა (წავიდა); მოქმედების დაწყებითობა-ინხოატივი (ამლერდა, აბიბინდა)“(ჯორბენაძე,1989:259). ზმნისწინის დამატებითი ნიუანსები სრული ასპექტის გამოხატვასთანაა კავშირში. შესაბამისად, ზმნისწინი მსგავსი ფუნქციით ძველ ქართულში ხშირად არ გვხვდება, ვინაიდან მან სრული ასპექტის გამოხატვა მხოლოდ მოგვიანებით შეითავსა. ზმნისწინის მიერ ზმნაში მოქმედების დაწყებითობის ფუნქციის შესახებ საუბრობს ბ. ჯორბენაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ძველ ქართულში შეინიშნება ზმნისწინის ეს მნიშვნელობა. დაწყებითობის (ინხოატივის) აღწერითი გამოხატვა არც ახალი ქართულისათვისაა უცხო: “ტირილი დაინყო”, “ბრუნვა დაინყო”, “სიმღერა დაინყო”... “ტირილი დააწყებინა”, “ბრუნვა დააწყებინა”... ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩვეულებრივი ტიპის შემასმენლისა და უშუალო (პირდაპირი) ობიექტის ურთიერთობასთან - ერთი თავისებურებით: უშუალო ობიექტად გამოყენებულია მასდარი (ტირილი, ბრუნვა, სიმღერა...) ან მასდართან გატოლებული არსებითი სახელი (თამაში, ვარჯიში, ჩხუბი...).ეს კი შესაძლებლობას იძლევა ზმნა (დაინყო – დააწყებინა) ნებისმიერი ნაკვთის ფორმით იქნეს წარმოდგენილი (ჯორბენაძე, 1987: 106-107).

2.5 ტმესი ძველ ქართულში

ტმესის სახელით აღინიშნება ზმნისწინის გათიშვა ზმნისაგან რაიმე სიტყვით (ან სიტყვებით), რომელიც (რომლებიც) ჩაისმის ზმნისწინსა და ზმნას შორის. მაგალითები:

„სამ გზის გამოუცხადა იესუ თავი თუსი მონათეთა თუსთა, აღ-რად-ღვა მკუდრეთით“ (იოანე, 21, 14);

„მო- ვინმე -უჭდა მას კაცი“ (მათე, 19, 16);

„მო- თუ ვინმე -კუდეს უშვილოდ“ (მათე, 22, 24 C);

„მო- ნუ -ისთულიან ეკალთაგან ყურძენი“ (მათე, 7, 16 C);

„აღ- ნუ ვინ -ანთის სანთელი და ქუეშე შედგის ჯვმირსა“ (სინ. მრავალთავი, 4, 21);

„მი- ვიეთმე -უგეს მნიგნობართა“ (ლუკა, 20, 39);

„აღ-რე-გუალე ზემო კერძო“ (ლუკა, 14, 10);

„შე-ვე ესევითარი -ჰგვანდა ჩუენდა მღდელთმოდლუარი“ (ებრ. 7, 26).

ტმესი გვხვდება ზმნის უპირო ფორმებთანაც:

„შე-რე-დგინებად მცირედ“ (ლუკა, 5, 3);

„შე- თუმცა - საძლებელ იყო“ (გალატ. 4, 15);

„და-ვე-სჯილ არს“ (ჰრომ. 14, 23);

„გან-მე-ყოფილ არსა ქრისტე“ (I კორ. 1, 13);

„წარ- ღათუ -წირულ ვართ, არამედ არა განწირულება-გვჩს“ (II კორ. 4, 8);

„და- ღათუ -ვრდომილ ვართ, არამედ არა წარწყმედულ ვართ“ (II კორ. 4, 9);

„არა შემეშინოს მე ბევრეულისაგან ერისა, რომელთა იგი გარე-მო-მიცვეს მე“ (ფსალმუნნი, 3, 115)

„მერმე მო-ვე-თხარა ისაკ ჯურღმულნი წყლისანი“ (შეს., 26, 18, 159)

„გამოვიდა მეფე სოდომისად შემთხუევად აბრაჰამისა, მო-რად-ქცეულ იყო იგი“ (შეს., 14, 17, 100)

„კნინლა და-ვინმე-წვა ნათესავისა ჩემისად ცოლისა შენისა თანა და მოაწიემცა ჩუენ უმეცრებად“ (CB)

„მცირედ-ლა და წარ-მცა-იტაცა იგი ნათესავისა ჩემისაგანმან და მო-მცა-ჰჳადე ჩუენ ზელა უმეცრებად“ (O)

AKS რედაქციაში გვხვდება შემდეგნაირად წარ-მცა-ვინმე-იტაცა და მო-მცა-ჰჳადე(შეს.,26,10158)

ადრინდელ ძეგლებში ხშირია ტმესის ხმარების შემთხვევები, გვიანდლებში იგი უფრო ნაკლებად გვხვდება. მაგ., ძველი რედაქციის ტექსტში იკითხება: რომელმან ფრიად მიიღო, არლარა ემატა, და რომელმან მცირედ, მას და- არად -აკლდა (11 კორ. 8, 15). იგივე წინადადება მე-11 საუკუნეში ნარედაქციევ ტექსტში ასეა წარმოდგენილი: რომელმან ფრიად მიიღო, არად ემატა, და რომელმან მცირედ, არად დააკლდა; ძველ რედაქციაში იკითხება: მცირედისა იგი გან-ვე-ქარდეს (I კორ. 13, 10), მერმინდელში კი: მცირედისა იგი განქარდესვე (CD-ში). ასეთივე ვითარებაა აქაც: შე-უკუე-იმოსეთ (კოლას. 3, 12 AB), შეიმოსეთ უკუე (იქვე, CD).

დასკვნები

ზმნისწინით დაინტერესება ჯერ კიდევ ძველი გრამატიკოსების ნაშრომებში შეიმჩნევა. ბუნებრივია, ძველ გრამატიკებში იგი გამოწველილვით ვერ იქნებოდა შესწავლილი, მაგრამ პირველი ცდები საყურადღებო და ანგარიშგასაწევი.

კვლევები ცხადყოფს, რომ ზმნისწინს ძველ ქართულში ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული ზოგი ის ფუნქცია, რომლებიც დღევანდელში აქვს. მას არ შეეძლო, მაგალითად, სრული ასპექტის წარმოება, ასევე არ შეეძლო დროის (მომავლის) წარმოება...

ძველ ქართულში არსებულ ზმნისწინთა რაოდენობა არ ემთხვევა დღევანდელისას. ზოგი სახეცვლილი გვხვდება, ზოგი დაიკარგა და ზოგმაც-დაკარგა ზმნისწინის ფუნქცია. ძველ ქართულში დასტურდება ყველა ის ზმნისწინი, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულშია (გამარტივებული სახით) და დამატებით კიდევ ზმნისწინთა ორი წყვილი, რომლებიც დღეს იშვიათია, ესენია: უკუნ-, უკმო- და წიალ- და წიალმო-... ძველი ალთქმისა და V-XI საუკუნეების ჰაგიოგრაფიული ტექსტები უგამონაკლისოდ იყენებს ძველ სახეობას.

ზმნისწინის პირველადი მნიშვნელობა არის მიმართულებისა და ორიენტაციის აღნიშვნა, რაც კარგად ჩანს მათი ხმარებისას მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ზმნისწინს დაკისრებული აქვს ახალი ზმნის წარმოების ფუნქციაც. ასეთია, მაგალითად, აღმო-კუეთა და და-აკუეთა, გან-აგო და მი-აგო, მოკლა იგი შურდულითა და დაკლა იგი მახულითა, დასცა იგი და მისცა მას იგი, მოიკითხა იგი და წარიკითხა იგი...

სრული ასპექტის გამოხატვა ზმნისწინის მერმინდელი, შემდგომ შეძენილი, ფუნქციაა. ასპექტის გამოხატვის ახლებური სისტემის ჩამოყალიბებაში ზმნისწინის როლის საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრება არსებობს; საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ზმნისწინი ახალ ქართულში სრული ასპექტის წარმოების ერთადერთი

საშუალებაა. ზმნისწინით ასპექტის გამოხატვა X საუკუნიდან დაიწყო და დასრულებული სახე XVII საუკუნეში მიიღო.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. გაბუნია კ. ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1993.
2. ვეშაპიძე ი. ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1967.
3. იმნაიშვილი ი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, 1970.
4. მარტიროსოვი ა. ზმნისწინების შედგენილობა და მისი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში, იკვ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, ტომი V, 1953.
5. სარჯველაძე
6. ფარტენაძე ნ. ზმნისწინი საშუალ ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია). თბილისი. 2002.
7. ფეიქრიშვილი ჟ. ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.
8. შანიძე ა. თხზულებანი ტ. III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1980.
9. ჩიქობავა არნ. წარ-პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში, ენიმკის მოამბე, თბილისი, 1937.
10. ჯაჯანიძე პ. ზოგი ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთობისათვის, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, IX. ქუთაისი: 1953.
11. ჯორბენაძე ბ. მოქმედების დანწყებითობის ფუნქციის გამოხატვა ძველ ქართულში. ა. შანიძის 100. საიუბილეო კრებული. თბილისი: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 1987.

12. ჯორბენაძე ბ. ინხოატივი ქართულში. ე. ლომთათიძე (რედ.). იკვ. საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტ. კრებული, ტ.წXXVIII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989.
13. ჯორბენაძე ბ. ქართული ენის მორფოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1995.
14. ჯორბენაძე ბ. ქართული ენის მორფოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1995.
15. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1778.
16. ქართული მწერლობა I-II ტომი, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1987.
17. წიგნი ძუელისა აღთქემისანი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989.